სახალხო გაზეთი

№ 1008 პარასკევი, 4 ოქტომბერი 1913 წ. № 1008

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტ. ტექსტის წინ 20 კ., უკან 10 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითო-ჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ. 4 საათის შემდეგ მიიღება მხოლოდ თვით სტამბა „შრომა"-ში, მუხრანის ქუჩა, და ეღირება 4 მანეთი.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და მ. მეტცლ და ამხ.-ბის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება „სახალხო გაზეთი"-ს რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე. საღამოთი 5-დან 7-მდე.

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ-დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: ტფილისში, სასახლის ქ., სარაჯიშვილის სახ. № 6. ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისთვის: ტფილისი, ქართული „სახალხო გაზეთი" 190.

ტელეფონი № 12-29.

გაზეთის ფასი წლიწადში 8 მ. 50 კ., თვეში—75 კაპ. ცალკე № ყველგან 5 კ., დამატებიანი—7 კ.

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გამოცემა

სახალხო გაზეთი

ყოველკვირეული სურათებიანი დამატებით

პირველი ოქტომბრიდან წლის დამლევამდე, როგორც ქალაქში ისე ქალაქ გარეთ ღირს 2 მ. 25 კ.

თვეში ღირს 75 კაპ.

არ მიიღება ხელის მოწერა ცალკე უდამატებოდ და არც სურათებიანი დამატება იყიდება ცალკე.

მისამართი: Тифлисъ, „Сахалхо газети" Почт. ящ. 190.

მარიამ ყარამანის ასული იაშვილისა, ნიკოლოზ ყარამანის ძე ყანჩელი და სეით ლუარსაბის ძე იაშვილი მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ პირველნი—საყვარელ ძმის და უკანასკნელი—ცოლის ძმის, ნაფიც ვექილის თანაშემწის

რევაზ ყარამანის ძის ყანჩელის

უდროოდ გარდაცვალებას. პანაშვიდები განსვენებულის ბინაზე, სასამართლოს ქუჩაზე, საღამოს 7 საათზე. გამოსვენება 6 ოქტომბერს კალოუბნის ეკლესიაში, დაკრძალვა კუკიის მართმადიდებელთა სასაფლაოზე. 673

თ-დნი: მარიამ ნიკოლოზის ასული და გრიგოლ სოლომონის ძე ერისთავნი, სოფიო ნიკოლოზის ასული და გიორგი დარისპანის ძე ამირეჯიბები შვილებითურთ, ალექსანდრა ნიკოლოზის ასული ჩიჯავაძისა შვილებითურთ და თინათინ ნიკოლოზის ასული ალაბეგიშვილისა მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ ძვირფასი დისწულის და დეიდაშვილის

რევაზ ყარამანის ძის ყანჩელის

უდროოდ გარდაცვალებას. პანაშვიდები საღამოს 7 საათზე განსვენებულის ბინაზე, სასამართლოს ქუჩაზე, სახ. № 34. გამოსვენება კვირას, 6 ოქტომბერს, კალოუბნის ეკლესიაში, დაკრძალვა კუკიის მართმადიდებელთა სასაფლაოზე. 673

საზამთრო ახალი კლუბი **თეატრი**

შაბათს, 5 ოქტომბერს 1913 წ. გაიმართება

საოჯახო საღამო

თეატრ-სინემატოგრაფის სცენაზე „ახალი კლუბის" ორკესტრით. თეატრში შესვლა უფასოა. სტუმრები იხდიან: მამაკაცი 1 მ., ქალები—50 კ., სტუდენტები—25 კ. გალერეია ხელმისაწვდომია. დაწვრილებით პროგრამებში. **დასაწყისი საღამოს 9 საათზე.**



პირველ-ხარისხოვანი

დიდი ცირკი

ძმ. ესიკოვსკებისა

მიხეილის პროსპექტ., მუშტაიდის შესავალთან, ნ. კუნდუხოვის ადგილზე, საკუთარი საზაფხულო გრილი სადგომი, ტრამვაი იქვე ჩერდება და შინ დაბრუნებისასაც მუშაობს.

დღეს, 4 ოქტომბერს, 1913 წ. გაიმართება

უკანასკნელი დღეები გასტროლისა საქვეყნოდ ცნობილის, ველოსიპედზე შეუდარებელის [illegible], ვირტუოზის **ჩისტერ დიკისა,** რომელიც შეასრულებს იშვიათსა და გონებისათვის იუწდომელ ნომრებს. სანახაობათა-სანახობა! უდიდესი ატრაქციონი!

ხელოვნების უკანასკნელი სიტყვა! ყველაგან ფურორი! სენსაცია! აღტაცება! ტაშისცემა! ოთხ და ექვს საჯდომიან ველოსიპედზე „ტანდემ"-ზე ცირკში. ჩისტერ დიკი საზოგადოებას აღტაცებაში მოიყვანს! დასასრულ „საბედისწერო გადახტომა"—სალტო-მორტალი ველოსიპედით, ცირკის თოლში განავარდება დატვირთულ ეტლზე. მოსკოვში აკვარიუმის ბაღში ჩისტერ დიკის გასტროლებს დიდ-ძალი ხალხი ესწრებოდა. დირექცია სთხოვს პატივცემულ ტფილისის საზოგადოებას, რომლის ყურადღება დაიმსახურა, რაც ცირკში მოსიარულე ხალხის რიცხვით აშკარაა, დარწმუნდეს ფენომენალურ ხელოვნების სინამდვილეში! ამ საღამოსვე მონაწილეობს **„4 ეშმაკი"** და ყველა პირველ-ხარისხოვანი არტისტები. გამოსვლა გამოჩენილი გიმნასტის და მოჯირითე ლამაზი ქალის m-le **ნაცისა** დაწვრილებით აფიშებში, დღეისთვის კონტრამარკები არ გამოდგება.

გამოსვლა 4 ეშმაკისა მე-2 განყოფილებაში, რომელიც იწყება 9 ნახევარ საათზე, ჩესტერ დიკისა მე-3 განყოფილებაში დასაწყისი 10 ნახევარ საათ.

დირექცია **ძმ. ესიკოვსკებისა.**

ანონს.: კვირას, 6 ოქტომბერს, დღისით გამოვლენ „4 ეშმაკი" ფასი—მოზრდილთათვის 10—40 კ. მოსწავლეთათვის 10—20 კ., ლოჟა 2 მ., გალერ. 5 კ. 671

კ. ზუბალაშვილის სახელობის სახალხო სახლი

კვირას, 6 ოქტომბერს 1913 წ. ქართ. სახ. წარმ. მმართ. წრის მიერ წარმოდგენილი იქნება პირველად სახალხო სცენაზე

წმინდა ანტონის სასწაული

კომ. 2 მოქმ. მ. მეტერლინკისა.

II. **არივ-დარივ** მხიარული ვოდევილი.

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი მარგ. გოგოლაშვილის ასული, კახელი, ნარაკიძისა, ელ. ციმაკურიძე. ბ-ნნი: გ ანაშვილი, ა. გუცუშვილი, გომელაური, ალ. მეტრეველი, ვ. ნინიძე, თვალჭრელიძე, ს. კავსაძე, ს. რომანიშვილი, რ. სალაყაია, სტურუა, ლ. სამადაშვილი, ნ. ჭანკვეტაძე, ნ. ჭუმბურელი, ძიმისტარაშვილი და კ. ხახანაშვილი.

რეჟისორი **ალ. წუწუნავა.** თანაშემწე **ნ. ჭანკვეტაძე.** ადგილების ფასი 5 კ.—50 კ. **დასაწყისი სხღ. 8½ ს** ფარდის ახდის შემდეგ თეატრის დარბაზში შესვლა აკრძალულია. შემდეგი წარმოდგენა 6 ოქტომბერს. „წრის" ადმინისტრაცია. 1486

ქ. შ. წ.-კ. გამავრ. საზ. წიგნის მაღაზიაში იყიდება

შემდეგი წიგნები: ისტორია, საეკლესიო და საისტორიო მასალები.

იერარქია საქ. ეკლესიისა: კათოლიკ. და მღვდელ-მთავარნი,	1 მ.
იზაშვილი პ. ქართ. კათოლიკენი,	10 კ.
ისტორია ქართ. ჟურნ.-გაზეთებისა,	15 „
პარიზის ქრონიკა, ანუ ცხოვრება საქართ. დიდი მოურავის ამბებით.	30 „
ჟორდანია თ. ქრონიკები და სხვა მასალა საქ. ისტ. და მწერლ. წ. 1-ლი	3 მ.
„ იგივე . წ. 2-ე,	3 მ.
რუსეთ. დამყარება საქართველოში,	20 „
სტატისტიკ. ცნობები საქართველოს შესახებ მე-18 საუკ.,	2 მ
ფრონელი ა. მთიულეთი.	40 „
„ კახეთის ამბოხება,	60 „
ქართლის ცხოვრება მარ. დედ. ვარ.,	3 მ.
ქართლის ცხოვრება დასაბამიდან მე-13-ტე საუკუნემდე, წ. 1-ლი,	40 „
იგივე . წ. 2-ე,	1 მ.
იგივე . წ. 3-ე	40 „
ქვარიანი. საქარ. მოკლე ისტ. ყდით,	40 „
ახლად მიღებული წიგნები:	
ზოლა „მაღაროებში მომუშავენი", ი. ავალიშვილის თარგმანი,	1 მ.
ხახანაშვილი. ქართული სიტყვიერების ისტორია მე-19 საუკ.,	1 მ.
იოს ყიფშიძე. Житіе и мученичество Св. Антонія Раваха.	40 „
Н. С. Эсадзе, Первый генералъ-фельдцейхмейстеръ русс. артилл. при П. Великомъ царевичъ Имеретинскій Александръ Арчиловичъ.	70 „

ადრესი: Тифлисъ. Книжный магазинъ О-ва распр. грам. ср. груз. нас. 1913

ავლაბრის ქართულ სახალხო წარმოდგენების მმართველი წრის

გამგეობა

ამით აცხადებს წრის წევრთა საყურადღებოდ, რომ კვირას, 6 ოქტომბერს 1913 წ. დილის 11 საათზე ავლაბრის სახალხო თეატრში დანიშნულია

საგანგებო საზოგადო კრება

განსახილველია შემდეგი საგნები: 1) სარევიზიო კომისიის სამოქმედო ინსტრუქციის შემუშავება და 2) მიმდინარე საქმეები. 1490

სალიტერატურო კარიკატურებიანი გამოცემა

ჩვენი ხუმარა

13 ოქტომბრიდან გამოვა

დროგამოშვებით

დაიბეჭდება:
1) სიტყვა-კაზმული მწერლობა: ლექსები, მოთხრობები, პიესები; 2) ფელეტონი დღევანდელ ჭირ-ვარამზე; 3) სცენები, იგავ-არაკები, საუბარი სხვა და სხვა საგნებზე; 4) კრიტიკა და ბიბლიოგრაფია; 5) სურათები გამოჩენილ პირთა და მოღვაწეთა; 6) კარიკატურები დღიურ ჭირვარამზე; 7) გასართობი და სახუმარო.

„ჩვენი ხუმარა" იქმნება მიუდგომელი, მიმართულების გარეშე. ძალიან საჭიროა ოხუნჯი და მხიარული თანამშრომელნი. ხელის მოწერა ჯერ-ჯერობით არ მიიღება. ხოლო თითო ნომერი კი ყველგან ერთს შაურად ეღირება.

მისამართი: Тифлисъ, Мухранская ул. № 12, для „ЧВЕНИ ХУМАРА"

დაიბეჭდა და იყიდება

მოსწავლეთათვის საჭირო წიგნი

მცენარეები და ცხოველები ცხელი ქვეყნებისა

მრავალი სურათით. შედგენილი ალექსი ქუჩინაძის მიერ. ფასი 35 კაპ. (დაეთმობათ ნაკლებად ვინც ათზე მეტს იყიდის)

იყიდება ტფილისში მხოლოდ ჯეჯილის რედაქციაში. (არტილერიის ქუჩა). 1503

ტფილისის კერძო სამკურნალო

ქსენიევის ქუჩა, საკუთ. სახლი, № 7, მიხეილის პროსპექტისა და ვეტცელის სასტუმროს ახლოს.

ტელეფონი № 590.

სტაციონალური განყოფილება მოწყობილია 50 საწოლით, ცალკე ნომრებით და საერთო ოთახები განსაკუთრებითი სამშობიარო განყოფილება.

მწოლიარე ავადმყოფთა მიღება შეიძლება ყოველ წამს, გარეშე მოსიარულე ავადმყოფებს მიიღებენ შემდეგი **ექიმები-სპეციალისტები:**

შინაგანი სნეულებანი.	**მანსვეტაშვილი ვ. მ.** ორშაბ., ოთხშ. და პარასკ. 2—3 ს. **მალალაშვილი გ. ზ.** სამშაბ. და შაბათობით 10—12. **მიქელაძე შ. ა.** ყოველ დღე 12½—1. ს. **ფედოროვი ე. გ.** ყოველ დღე, გარდა ოთხშ. და კვირისა 12—1. ექ.-ქალ. **ენგელ-მელიქ-შახნაზაროვისა ე. ა.** ყოველ-დღე გარდა კვირისა 12—1 ს.
ქირურგ. სნეულებანი.	**მარკევიჩი ვ. ლ.** კონსულტანტი ყოველ დღე 11½—12½. **მელიქიშვილი ნ. ა.** ყოველ დღე 10—1. **ფირადოვი რ. ბ.** ყოველ დღე 12—1.
ქალთა და სამშობ. სნეულებანი.	ექიმი-ქალი **ვერბიცკი-ფირადოვისა ლ.** ყოველ დღე 11—12. **თიკანაძე ი. ე.** ყოველ დღე 1—2. **მელიქიშვილი ნ. მ.** ყოველ დღე 10—1.
ბავშვთა სნეულ.	**ექ.-ქალ. ბაქრაძე-დედაბრიშვილისა** ყ.-დღე, გარდა ოთხშ. 1—1½ **მიქელაძე შ. ა.** ყოველ დღე 12½—1. **ფედოროვი გ. ს.** ყოველ დღე გარდა ოთხშაბ. და კვირისა 12—1.
ნერვიულ. სნეულებ. და ელექ.	**ჯავახიშვილი ნ. ნ.** სამშაბ., ხუთშაბ. და შაბათ. 12—1. **ფონდოევი ბ ს.** ყოველ დღე 1—2.
ყელ. ყურის და ცხვირ.	**ათენიანცი ნ. ა.** ყოველ დღე 12½—1½. **ორემბოვსკი ნ. ს.** ყოველ დღე 1½—2.
თვალის სნეულ.	**მუსხელიშვილი ვ. ს.** ორშაბათ., ოთხშ. და პარასკ. 2—2½.
კან. და ვენერ. ავ.	**დიასამიძე ა. ნ.** ყოველ დღე 11½—12½.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი სამიკროქიმიო და საბაქტერიოლოგიო ლაბორატორია. სისხლის გასინჯვა, ათაშანგ. **Wassermann.** რჩევისათვის 50 კ. საწოლი [illegible] 2 მ. **დაწყებული.** ცალკე ოთახი 5 მ.-დან. მშობიარობა 10 დღე წოლით ღირს 40 მ. დაწყებული. ოპერაციები, კონსულიუმი, შარდის ბუშტისა და მილების კატეტერიზაცია, **„606" და „914" წამლის შეშხაპუნება,** ელექტრონით წამლ., მასსაჟი, ყვავილის აცრა. ძიძათა შემოწმება და სხვა. შეღავათიანი საფასურით. წ. 1035

გამოვიდა და იყიდება ყველა წიგნის მაღაზიაში ახალი სალიტერატურო-სამეცნიერო კრებული

1. შოთა რუსთაველი, გრ. რობაქიძისა.
2. სუმერული და ქართული, მ. წერეთლისა.
3. ოიდიპოს მეფე, თარგმ. ბერძნულით პ. ქავთარაძისა.
4. მეფე-მგოსანი, სანდრო შანშიაშვილისა.
5. ღამე, ს. ფირცხალავასი.
6. გლოვის ზარი, მისივე.

ფასი 1 მანეთი

შრომა და ნაწარმოები

დ. ი. არაყიშვილისა:

ქართული სიმღერების კრებული სკოლებისთვის, ქართული მუსიკის წიგნები, ქართული სიმღერები ფ. პ. დასამღერებლად, რომანსები და სახორო სასიმღეროები რუსულსა და ქართულ ენაზე იყიდება ყველა წიგნისა და მუსიკის მაღაზიაში. 356

ბერლინის უნივერსიტეტის დოქტორი მედიცინისა

გ. მეჯრაბიანცი

დაბრუნდა უცხოეთიდან და განაახლა შინაგან სნეულებით ავადმყოფთა მიღება. სნეულებანი ფილტვებისა—**ჭლექი**—და გულისა. შეთანაბრებული სპეციფიური **ტუბერკულინური** წამლობა. ხელოვნური **პნევმოტორაქსი. რენტგენის ელვარებური სხივებით ფილტვებისა და გულის გალანდვა.**

ყოველ დღე, 9—1 საათ. და საღამოს 5—7 საათ. კვირაობით 9—12 საათ.

ბებუთოვის ქ. სახ. 23, ტელეფონი 7—92. 1516

ავლაბრის სახალხო თეატრი

კვირას, 6 ოქტომბერს, 1913 წ. ავლაბრის ქართ. სახ. წარმ. მმართ. წრის მიერ მსახ. **ი. ივანიძის და ჟივიძის** მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება

მეგობრობა

დრამა 4 მოქ. შიუკაშვილისა.

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი მარგველაშვილისა, ქურულისა, საკოვისა. ბ-ნნი **ი. ივანიძე, ჟივიძე,** თავდგირიძე, სულთანიშვილი, ჯიბლაძე, სალაყაია, ნინოშვილი, ქვლივიძე, მაისურაძე და სხვანი. **ადგილების ფასი 4—50 კაპ.** ანტრაქტებში დაუკრავს სიმებიანი ორკესტრი, მიცკევიჩის ლოტბარობით. ბილეთები გაიყიდება თეატრის კასაში 5—9 საათამდე. **დასაწყისი საღ 8 საათზე**

რეჟისორ **ი. ივანიძე.**

მორიგი გამგე **ვ. თუშმალიშვილი.**

1490

ი. ჭავჭავაძის თხზულ. გამომცემლობა

ამით აცხადებს, რომ საკვიტანციო წიგნაკები № 72 (კვიტანციები 711—720) და № 157 (კვიტანციები 2070—2725),

დაკარგულია და წიგნის მიღებისათვის არ გამოდგებიან. 1517

მოსწიეთ ახალი

პაპიროსები

ნაივა

ამხ.

„კომეტა"

ტფილისი

20 ცალი **6** კაპ **10** ც **3** კაპ.

1497

საბურთალოზე

მშვენიერ ალაგას

ახლად აშენებულ ეკლესიისა და დიდუბის მომავალ ხიდის მახლობლად დაიჭრა 20 დესეტინა მამული და იყიდება წვრილ ნაჭრებად ხელმისაწვდენელ ფასებში.

მსურველთ შეუძლიანთ მიჰმართონ ოლღას ქუჩაზე, სახლი № 6, სოლომონ ივანეს ძე **თაქთაქიშვილს,** დილის 8 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. საღამოს 5 საათიდან 8 საათამდე. უმორჩილესად ვთხოვთ მიწის მყიდველებს, რომ **თავის დროზე შემოიტანონ დარჩენილი ვალი,** თანახმად ჩვენგან მიცემულ კვიტანციისა. წ. 1220

ექიმი ი. ზ. გძელიშვილი სწამლობს შინაგან, თვალისა და ბავშვთა ავადმყოფობას დილით 9—12 საათ., საღამოს 5—7 სათ. 19 თებერვლის ქ. (რიყის ქ.) № 17, ტრამვაის გაჩერებელთან, მისიონერთა ახალ ეკლეს. გასწვრივ. 688

ექიმი ე. ი. მინასიანცი იღებს ყოველ დღე, შინაგან, ბავშვთა, სპეც. კუჭისა და ნაწლევთა ავადმყ. და საზრდოებ. (სისხლ ნაკლულ. შაქრის ავადმყ. სიმსუქნე, ლოთობა, ქარები) პლექ. და დამპალი ციება პარიზულ კლინიკ. პროფ. **Mathieu.** **იღებს** დილ. 9—11 ს., საღ. 5—7 ს. ტფილისი, მიხეილ. ქ. № 86, ტელ. № 576. 1071

ექიმი ი. ი. ბერიშვილი სწამლობს **საშარდე** ორგანოთა, **ათაშანგისა და კანის** ავადმყ.; **ვასსერმანის** რეაქციით იკვლ. ათაშანგ. მოწამლ. სისხლს. მიღება ნაშუადღ. 3—5½ ს. ელისაბედის ქ., № 94, კიროჩნი ქუჩის ახლოს, საფოსტო განყოფ. პირდაპირ. 102

ექიმი ივ. გომართელი ჩამოვიდა და განაახლა ავადმყოფთა მიღება დილის 8—12 საათ. საღ. 5—7 საათ. ოლღას ქუჩა, № 20. ტელ. 633. 654

დოქტორი მედიცინისა

გ. ა. ახვერდოვი,

პეტერბურგის სიფილისისა და ვენერიულ ავადმყოფობათა კლინიკის ყოფილი ორდინატორი. იღებს საშარდის, ვენერიულსა და სიფილისიან ავადმყ. დილ. 10—11 ს., საღ. 6—8 ს. **სემიონოვის ქ.,** № 18. (ვორონცოვის ძეგლის მახლობ.), ექიმ. ბინა— სემიონ. ქ., № 16. 159

---

27 სექტემბერს, პარასკევს საღამოს,

დაიკარგა

მე-5 საპოლიც. ნაწილში ტრამვაის მე-7 ნომერში **პორტფელი,** რომელშიაც იყო **მიწის ხუთი გეგმა, ნასყიდობის ქაღალდი და 10 მინდობილობის ქაღალდი.** მპოვნელს ვსთხოვ, მომიტანოს სასტუმრო „თელავში", მეტეხის ციხის ძირში, კვეზერელი-კოპაძეს სახლი, **პეტრე გარელიძეს.** მპოვნელი საჩუქარს მიიღებს. 669

ელექტრონის და რენტგენის

სამკურნალო

მიხ. გედევანიშვილისა

ავადმყოფებს იღებს ყოველ-დღე დილ. 12—1 ს., საღამოს 6—7 ს., გაშინჯვა და გადაღება რენტგენის სხივებით. ვერა, ყოლღანოვის ქ. № 20. წ. 1023

ექიმი ნ. ნ. ჯავახიშვილი

ორდინატორად ნამყოფი კიევის ნერვების კლინიკაში. იღებს ნერვებით ავადმყოფებს საღ. 6—7 ს.-მდე. ჩერქეზიშვილის ქუჩა, № 12. **იქვე გამართულია ელექტრონის სამკურნალო კაბინეტი.** 546

ექიმი პ. ლ. კიკალიშვილი იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 5½ საათიდან 7 საათამდე. კახეთის ქუჩა № 2, ტელეფონი 15—27. 1502

ვაგზლის კერძო სამკურნალო

გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვაგზლის ქუჩა. № 8. ტელეფონი № 695.

ე. ს. [illegible] ყოველ დღე, შინაგან. ავადმყ. 9½ ს. 10 ს.

ა. ნ. დიასამიძე. ყოვ. დღე, კვირ. გარდა. სიფილ., კანისა და ვენერ. 11—11½ ს.

ბ. ა. პოპოვი. ყოვ. დღე, კვირის გარდა. ყელ. ყურ. და ცხვ. სნეულ. 11—11½ ს.

ექ. ქალი იოსელიანისა—იღებს ქალთა ავადმყოფებს. სამშაბათობით, ხუთშაბათობით და კვირაობით 11—11½ ს.

ნ. მ. მელიქიშვილი ქირურგიული და ქალთა ავადმყ. 1—2 ს.

მ. გ. კლდიაშვილი. ყ.-დღ. შინაგ. ავადმყ. 1—2 ს.

მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური, ქიმიური გამოკვლევანი. ადრეული ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა ფასი რჩევისათვის 50 კ.

ოპერაციები და კონსილიუმი მორიგებით.

წამლობა „606"-ით 1462

ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდან)

„ნოვოე ვრემია"-ში ვინმე ირანი ეხება პოლონეთში რუსული ენის საკითხს. მისი აზრით, შემცდარი იყო მესამე სახელმწიფო სათათბირო, რომელმაც დაადგინა, რომ „საჭიროა ქალაქების თვითმმართველობებში პოლონური ენით სარგებლობას ცოტაოდენი ადგილი დაეთმოს, რათა არ იყოს სახელმწიფო ენის ხმარებაში ძალდატანება". „ნოვოე ვრემია"-ს პუბლიცისტი, რასაკვირველია, ვერ შერიგებია ასეთ მდგომარეობას, ის არ ეთანხმება სათათბიროს აზრს:

„რუსული ენის შემოღებით ადგილობრივ მკვიდრთა შევიწროება, ქალაქების თვითმმართველობათა საქმის წარმოებაში,—უფრო მოგონილია, ვიდრე ნამდვილად"... რადგან:

„ამ მხარეში რუსული სკოლა დიდი ხანია არსებობს, საყოველთაო სამხედრო ბეგარის მოხდაც სავალდებულოა, რაც საკმაო საშუალებას აძლევს ადგილობრივ მკვიდრთ შეისწავლონ სახელმწიფო ენა."

ეჭვს გარეშეა, პუბლიცისტს, რომელსაც „ნოვოე ვრემია"-ს მარკა აკრავს, შესაფერი ლოღიკაც უნდა ჰქონდეს, თორემ როგორ წარმოიდგენდა კაცი საქალაქო თვითმმართველობების ნასალდათარი ხალხით გავსებას. ან და, იმ რუსის სასწავლებელში ქალაქის საბჭოს წევრებს ხომ არ მიაბარებენ რუსული ენის შესასწავლად?

ასეთი მოსაზრების შემდეგ ბ-ნი ირინი ამტკიცებს, რომ პოლონეთის საქალაქო დებულებათა ახალი გეგმა შეუფერებელია იმით, რომ...

„ქალაქის საბჭოების იმ რუს ხმოსანთა ინტერესები, რომელთაც პოლონური არ იციან, ხელში ჩაუვარდებათ თავმჯდომარეებს".

ამიტომ, მისი აზრით, თუ საბჭოში უმრავლესობა პოლონელებია და ორი-სამი ხმოსანი კი რუსი, მაშინ კამათი და საქმის წარმოება რუსულ ენაზე უნდა სწარმოებდეს. და ამას ამბობს „განათლებული" პუბლიცისტი, მიუხედავად იმისა, რომ ქვევით თვით აღიარებს:

„რა უნდა ჰქნან მაშინ, როდესაც ორატორი რუსულად ლაპარაკობს, თავმჯდომარემ კი რუსული არ იცის? როგორ უნდა გადათარგმნოს სიტყვა პოლონურად? ამას კი ანგარიში უნდა გაუწიოთ"-ო.

საოცარ „მზრუნველობას" იჩენს ბ-ნი ირინი პოლონელ თავმჯდომარეებისადმი, როდესაც ეს თვისი „პოლიტიკის" დასასაბუთებლად სჭირია; მაგრამ მისი უბედურებაც ის არის, რომ თუ თავმჯდომარემ, რომელსაც უმრავლესობა ირჩევს, რუსული არ იცის, მაშასადამე არც უმრავლესობას დასჭირდება რუსული ენის ცოდნაც და სწორედ ამას უნდა გაუწიოს მთავრობამ ანგარიში...

ახალი ამბავი

ტფილისი

◆ **მეფის მოადგილის თანაშემწე სენატორი ე. ა. ვატაცი** ერთხმად იქმნა არჩეული კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების საპატიო წევრად.

◆ ქალაქის გამგეობამ დაადგინა, წინადადება მისცეს ქალაქის საბჭოს, გადასდოს 200 მან. ხილისა და ბოსტნეულის მეორე გამოფენა-ბაზრის ხარჯების გასასტუმრებლად.

◆ ქალაქის გამგეობამ დაადგინა: განსვენებულ სასანიტარო ექიმ—ქალის ისაკოვის ორს შვილს შემწეობად აძლიოს თითოს 15 მან. თვეში, სწავლის დასრულებამდე.

◆ **ქალაქის თვითმმართველობაში.** ქალაქის საბჭოს სარევიზიო კომისიასა და ქალაქის გამგეობის შორის უთანხმოება მოხდა, დიდის მთავრის ქუჩის მოსაკირწყლელ მასალის ჩაბარების გამო. მასალა სარევიზიო კომისიამ დაიწუნა, ხოლო ქალაქის გამგეობამ ღირსებიანად აღიარა და ჩაიბარა კიდეც. ამ საქმის გამო სარევიზიო კომისიას საგანგებო მოხსენება შეაქვს ქალაქის საბჭოს მომავალ კრებაზე.

◆ **ტრამვაის უფასო ბილეთებს,** რომელიც ნახევარ ფასითაც იყო დარიგებული, ძალა ექმნება 1014 წლის 1 იანვრამდე.

◆ **ახალი ნიხრი.** ქალაქის საბჭოს სამეურნეო კომისიის კრება 2 ოქტომბერს მოხდა. კომისიამ მიიღო მხედველობაში, რომ საკლავ საქონლის ფასმა დაიკლო და დაადგინა; ხორცის ნიხრს ერთი კაპეიკი დააკლოს. ამ ნიხრით ძროხის ხორცი უნდა გაიყიდოს 11 კაპ., ხოლო ცხვრისა—13 კაპ. რადგანაც ღორის ხორცის სეზონი დადგა, ამიტომ კომისიამ იმის ნიხრიც დააწესა: გატყავებულ ხორცზე—14 კ., ხოლო გაუტყავებელზე—13 კ.

◆ **სახალხო უნივერსიტეტის** გამგეობამ დაადგინა, 6 ოქტომბერს სახალხო სახლში ლექცია გამართოს. წაიკითხავს ნ. მ. სპილიოტი შემდეგს თემაზე: „პირველყოფილი კაცი".

◆ **ტრამვაის** მოსამსახურეთა და ბ-ნ რობის შორის მოლაპარაკება ჯერ კიდევ არ დასრულებულა. მოსამსახურეებმა სამკურნალო დახმარების საქმის გამო დაადგინეს: შეუთანხმდნენ მუხრანის კერძო სამკურნალოს.

◆ **ქალაქის სამხედრო საკრებულო** კვლავ განაგრძობს მოქმედებას 1 ოქტომბერს და 2 ოქტომბერს. ნაშუადღევს 2 საათამდე საკრებულო ჯარში გაწვეულთ სიის შემოწმებას მოუნდა. 2 ოქტომბერს ნაშუადღევის 2 საათიდან ნაშუაღამევის 2 საათამდე კენჭის ამოღება გაგრძელდა. კენჭი ამოიღო 713 კაცმა. გუშინდლიდან საკრებულო იმ ახალგაზრდათა შემოწმებას შეუდგა, რომელნიც ჯარში წინად იყვნენ გაწვეულნი. დღეიდან დაიწყება შემოწმება ჯარში წელს გაწვეულ ახალგაზრდებისა.

◆ **დამპალ ციების წინააღმდეგ მებრძოლ კავკასიის კომიტეტის** დავალებით კომიტეტის წევრი ა. ხატისოვი შეეკითხა კავკასიის 44 ქალაქს. არის იქ თუ არა დამპალი ციება და თუ არის, ძალიან მძვინვარებს თუ არა. დღემდე ა. ი. ხატისოვმა 24 ქალაქისაგან მიიღო პასუხი. დანარჩენ ქალაქებისაგანაც პასუხების მიღების შემდეგ მთელი შეგროვილი მასალა ცალკე წიგნად დაიბეჭდება.

◆ **წვრილი კრედიტი.** ერწოს (თიანეთის მაზრა) მცხოვრებლებლებმა შუამდგომლობა აღძრეს წვრილ კრედიტის საქმეთა საგუბერნიო კომიტეტის წინაშე, დაარსოს მათთვის სოფელ ნადირაანთ-ხევში საკრედიტო ამხანაგობა. ძირითად თანხად 2,000 მან. თხოულობენ, ხოლო მოკლე ვადიან სესხად-5000 მან.

◆ რუსეთის საგეოგრაფიო საზოგადოების კავკასიის განყოფილების საქმეთა მმართველად დანიშნულ იქმნა ბ-ნი ჩურსინი.

საზოგადოებანი და კრებები

◆ **კავკასიის ქალაქების წარმომადგენელთა კრების** მომწვევ კომიტეტის კრება გუშინ მოხდა. კომიტეტმა საბოლოოდ დაადგინა, კრება მოიწვიოს 17-დან 21 ნოემბრამდე.

◆ ტფილისის გუბერნიის საქარხნო ინსპექტორი 23 ოქტომბრისათვის ქალაქის საბჭოს დარბაზში **სამრეწველო დაწესებულებათა პატრონების კრებას** იწვევს. კრებამ უნდა აირჩიოს რწმუნებულნი უბედურ შემთხვევათაგან მუშათა დამზღვევ ამხანაგობაში.

◆ **ქალაქის საბჭოს სასკოლო კომისიის** კრება დღეისთვის არის დანიშნული.

◆ **სასმელ წყლის ძებნაში.** დღეს შეერთებული კრება ექნება ქალაქის გამგეობას და იმ კომისიას, რომელმაც ა. ს. ბაბოვის მეთაურობით ბალაჩაურის წყაროები დაათვალიერა. კრებამ უნდა მოისმინოს მოხსენება წყაროების დათვალიერების შედეგის შესახებ.

◆ **კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების.** წევრთა საზოგადო კრება 2 ოქტომბერს მოხდა. კრებაზე მოწვეულნი იყვნენ რუსეთის მეხილეობის საზოგადოების ამიერ-კავკასიის განყოფილების წევრნიც. კრება მოწვეული იყო ხილისა და ბოსტნეულის მეორე გამოფენა-ბაზრის გამართვის გამო. კრებამ გამოფენა-ბაზრის საექსპერტო კომისიის წევრებად აირჩია: პ. გ. მელია, ზ. დ. პრილიპკო, ვ. ა. ზეიდლიცი, ბ. ბ. ბაგრამოვი, ნ. ვ. ბელეცკაია, ფ. ფ. კრიშტაფოვიჩი, ს. ნ. ტიმოფეევი, ა. ა. როლლოვი, ა. მ. დემენტიევი, პ. მ. ჟამკოცევი, ა. ლ. ათანასიანი, გ. გ. ალიბეგოვი, ვ. ი. რცხილაძე, კ. ფ. აფრიკიანი და მ. ა. ვერმიშევი. ამის შემდეგ კრებამ მოისმინა საზოგადოების 1911 წლის მოქმედების ანგარიში. დასასრულ კრებამ სასურველად სცნო, გამოფენა-ბაზრის დროს მოიწვიოს მებაღეთა თათბირი.

სომეხთა ცხოვრება

◆ **სომეხ მწერალთა საზოგადოებამ** დაადგინა, ცნობილ აშუღის საიათ-ნოვას ძეგლის კურთხევის დღისთვის გამოსცეს განსვენებულის ლექსთა კრებული. შესაფერ ლექსების ამორჩევა დაევალა ცალკე კომისიას, რომელშიაც შედიან პოეტი ა. თუმანიანი, ა. აგდანიანი და გ. ბაშინჯაგიანი.

◆ **სომხურ დრამატიულ საზოგადოების** გამგეობის თაოსნობით ტფილისში არსდება სომეხ არტისტთა საურთიერთო დამხმარე კასა.

შეცდომის გასწორება. გუშინდელ მეთაურში, მეორე სვეტზე, ქვევიდან მე-37 სტრიქონში შეცდომით დაბეჭდილია „თვით-მხედველი ძალა" უნდა იყოს „თვით-მსურველი ძალა".

ხილისა და ბოსტნეულის გამოფენა-ბაზარი

თუმცა წრევანდელი წელიწადი სასოფლო მეურნეობისთვის ამინდის მხრით, ძლიერ ცუდი იყო რაიონთა უმეტესობისათვის, მაგრამ, მიუხედავად ამისა, გუშინ გახსნილმა გამოფენამ ნათლად დაგვანახვა, რომ ჩვენი ქვეყნის მეხილეობა-მებოსტნეობა განვითარების გზას ადგია.

გამოფენაზე პირველი ადგილი უკავია გორის მაზრას. განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს ისაია ფურცელაძე, რომელსაც ს. მერეთში აქვს გაშენებული ხეხილის საუცხოო ბაღი. მის გამოფენილ ხილში აღსანიშნავია მსხალი „ტრიუმფვიენ", თეთრი ვაშლი „კალ ვილი", გირიმის შინდი და სხვა. ბ. ფურცელაძე და სხვა გამოფენაზე დაჯილდოებულია ოქროს მედლით.

მეორე ადგილი უჭირავს საქაშეთის მეურნეთა ახალ ამხანაგობის ექსპონატებს. ამხანაგობა დაარსდა 1913 წ. შესდგება სხვა და სხვა რაიონის 13 მეურნეთაგან, ორი გლეხიც ურევია: ს. ქურია, თავ. ალ. მაჩაბელი, ხუთი დეს. ხეხილის ბაღი აქვს. განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს მსხალი „მაგრიტა მარილია", რომელიც იქვე თითო მანეთად გაიყიდა თითო. მეორე ამხანაგი—ძმ. დიასამიძეები ს. საქაშეთიდან—აქვთ 8 დეს. ხეხილის ბაღი. ამათ ექსპ. შორის ყურადღების ღირსია ვაშლისა და მსხლის საუკეთესო სამრეწველო ჯიშები. მესამე ამხანაგი, ი. დ. მაჭავარიანი ს. ქვემო-ხვითიდან; აქვს 1 დეს. ბაღი.

4) ამხანაგი მღ. ედილაშვილი ს. ბრეთი. 1 დეს. ბაღი.

5) გლეხი ს. ტიტვინიძე ს. საქაშეთი 3 დეს. ბაღი.

6) მემამულე ვ. კალატოზიშვილი ს. წვერი, 3 დეს. ბაღი.

7) დ. ციცქიშვილი ს. ფხვენისი 3 დეს. ბაღი.

8) სალარიძე, ს. შინდისი 1 დეს. ბაღი.

9) იოს. გულისაშვილი, ს. რუისი 1 დეს. და სხვანი, რომელთაც პირველ დღეს ვერ მოასწრეს თვისი ნაწარმოების გამოფენა, ამხანაგობის ექსპონატებმა დიდი ყურადღება მიიქცია საზოგადოებისა, სხვათა შორის სენ. ვატაცი დაწვრილებით გაეცნო მათს წესდებას და მოღვაწეობის პროგრამას.

შემდეგ კარგი ექსპონატები აქვს გამოფენილი ახალციხის მემამულეს ათაბეგოვ-კობლიანსკის, 23 ჯიშის ვაშლი და 11 ჯიშის მსხალი.

ს. თორთიზის მემამულეს ალ. ქარუმიძეს გამოფენილი აქვს 17 ჯიშის ვაშლი და 7 ჯიშის მსხალი დიდად საყურადღებო.

აგრეთვე ავსარქისოვისა, ს. სკრა —17 სხვა და სხვა ჯიშის ვაშლი, 8—კომში რომელთა შორის შესანიშნავია სპირს ჯიშის კომში.

ამის ექსპონატების კოლექციები დამთავრებული არ არის, ამიტომ გადაჭრით მაზე ვერას ვიტყვით.

გორის მემამ. ა. ბაბალოვმა გამოფინა 24 ჯიშ. მსხალი, 40 ჯიშის ვაშლი.

საუცხოო შთაბეჭდილებას სტოვებს თ. დავ. ციციშვილის, ს. ხვედურეთი, საუცხოო ჯიშის ხილეულობა და კონსერვები, აგრეთვე სხვა და სხვა ხმელი ხილი: ჩურჩხელები ატმის, ვაშლის, ქლიავის და სხვ. წვენისაგან გაკეთებული.

კარგია აგრეთვე კოლექცია თ. ვას. მაჩაბლისა, ს. თამარაშენიდან; მას გამოფენილი აქვს აგრეთვე 20 წლის ღვინო, რომელიც დაიჭაშნიკა სენ. ვატაცმა. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ თ. ვას. მაჩაბლის ვენახი გაშენებულია ისეთ ადგილზე, რომლის მაღლაც ვეღარ იხარებს ვენახი 3 000 ფუტამდე). კარგია აგრეთვე ექსპონატები თ. გ. ნ. ვეზირიშვილისა ს. ოსიაურიდან, თ. ერისთავისა—გორის მაზრიდან, თ. ჯავახიშვილისა, ს. ხოვლედან, შატბერაშვილისა ს. კავთისხევიდან.

ყარაიაზის საცდელმა მინდორმაც გამოჰფინა კარგი კოლექციები ვაშლისა და მსხლისა.

გამოფენილია აგრეთვე სხვა და სხვა რაიონიდან ინსტრუქტორების მიერ შეკრებილი ხილი. ცალკე პავილიონში მოთავსებულია ცნობილი მემამულის ს. ს. ხეთაგურის ექსპონატები ს. ნიქოზიდან და კასპიდან. ბ-ნი ხეთაგური დიდი ხანია აწარმოებს დიდ სანერგეს. მან გამოჰფინა ვრცელი კოლექცია, რომელიც შეიცავს 280 სხვა და სხვა ხილის ჯიშს: მარტო კომშისა 22, ზღმარტლისა—7, მას პირველად გამოუფენია ახალი ჯიშის ვაშლი (ёлочное); 14 ჯიშის საჭმელი სიმინდი, რომელთა შორის ყურადღებას იქცევს შავი სიმინდი (იაპონური).

ბოსტნეულობის განყოფილებაში აღსანიშნავია ქუთაისის სატუსაღოს ბოსტნის ნაწარმოები: გამოფენილია უდიდესი ზომის ხახვი და ნიორი, პომიდორი (სენსაცია), ჰარხალი, მიწის თხილი, სოია (ლობიო) და სხვათა შორის დამყნილი ვაზი. ყველა ეს დამუშავებულია ტუსაღების მიერ.

ყურადღებას იპყრობს აგრეთვე ბ-ნი ყაზახჯიანის ბოსტნეული; კომბოსტო, ოხრახუში, ლობიო, წიწმატი და გოგრა (6 ფუთს იწონის), ჭარხალი (ვილიამს), რომელიც იძლევა 5.000 ფუთს 1 დესეტინაზე.

დანარჩენ ექსპონატებს შორის აღსანიშნავია: თ. მიხ. დიასამიძისა, თ. სარდ. ციციშვილისა, თ. სუმბათაშვილისა, თ. ალ. მაჩაბლისა, თ. გ. ვეზირიშვილისა, კნ. ელ. თარხან-მოურავისა, არხ. დარეჯანიშვილისა და ინსტრუქტორ ხახუტუროვის მიერ

ცხოვრება და იმედები

ვუძღვნი ჩემი თაობის ქართველ ქალებს

იმის პირი, რასაც ქვემორე ამისა წაიკითხავ, მკითხველო, შემთხვევით ვნახე ერთ-ერთ ჩვენს ქალაქში, როცა გაზაფხული მიწურულიყო, და საზაფხულოდ განმზადილი მზე ანთებულს მუგუზლებს ჰყრიდა ზეციდან.—დიდი ქუჩის ერთს შესახვევში მწვანე რვეული ეგდო, მტვერ-გადაყრილი. გამვლელს ფეხი დაედგა ზედ და დაეჭმუჭნა. მე კი რვეული ხელში ავიღე, გავფერთხე მტვრისაგან და შემდეგ გავშალე.—დიდრონი ასოებით, ბავშური ხელით იყო დაწერილი მისი ფურცლები. ეტყობოდა, ავტორი წერაში გამოუცდელი და გაუვარჯიშებელი იყო... რვეული საერთოდ მოიძველებდა. ალაგ-ალაგ დაცვეთილსა და დაფლეთილ ფურცლებს მოყვითალო ფერიც გადაჰკრავდა.

რვეულში იდვა დაკეცილი ქაღალდი. ესეც დაწერილი. განსხვავება ნაწერში ის იყო, რომ ქაღალდზე მოზდილის ხელს ეწერა, თუმცა ერთსა და იმავეს. ძირითადი ხასიათი წერისა ერთი იყო, როგორც რვეულში, ისე ქაღალდზე.

რვეულში მდებარე ქაღალდი ახალი იყო... მეჩვენა, თითქო მასზე მელანიც არ იყო კარგად გამშრალი!!

შინ წავიღე რვეულიც და ქაღალდიც. გავეცანი მათ შინაარს.

რისი გამორჩევაც კი შევძელი რვეულიდან, პირწმინდად გამოვარჩიე, და მომყავს იგი პირადად!.. ქაღალდზე ნაწერი ადვილად გასარჩევი იყო და ერთიანად გადმოვწერე, რასაც წაიკითხავთ ბოლოში...

—

რვეულიდან:

15 მარიამობისთვე...

„გუშინ სოფლიდან ჩამოვიდა ჩემი ნატო!.. სადაც არის სწავლაც დაიწყება, და კვლავ შევიკრიბებით ყველანი!! დღეს ნასადილევს ნატო და მე ქალაქ გარედ ვიყავით!.. სოფლისთანა კარგი ქვეყანაზე არაფერია!!—ამწვანებული, გაშლილი ადგილები და ფართო, ფართო, სულ ფართოცა!.. ნატოსაც ძალიან უყვარს ბუნება! ფრთები რომ გვსხმოდა, უთუოდ გავფრინდებოდით!.. მართლა, რა კარგი იქნებოდა, რომ შეგვეძლოს გაფრენა! ჩემი სურვილია:—ავიდე სულ, სულ მაღლა და იქიდან გადმოვიხედო! ნეტავი, როგორ მოგვეჩვენება სულ მაღლიდან ქალაქი და სოფლები?.. გადმოვიხედე, ვსთქვათ, და უცებ სულ სხვანაირად მომეჩვენა ყველაფერი!.. მაშინ?.. ეს კი არის შესაძლებელი, რადგანაც ნატო და მე, როცა შორიდან ვუმზერდით ტყეს, მაღლობზე რომ მდებარეობს, აღტაცებაში მოვედით. შორიდან მთელი ტყე ერთს დიდ ლამაზ ხესა ჰგავდა, უხვ-ფოთლიან და ქუჩუჩას!.. როცა ახლო მივედით, არ იყო ამისთანა, და, როცა შიგ შევედით, სულ არ მოგვეწონა!.—ჩვენ ეს მაინცა და მაინც არ გაგვკვირვებია, მაგრამ მაინც გაგვიკვირდა!!

„ნატომ ბევრი ამბავი მითხრა..! საიდუმლოც კი გამანდო!.. კვლავ უფრო მეტს გამოვკითხავ, რადგანაც ბევრი ვერ გავუგე კარგად! მითხრა, შეყვარებული ვარო, მაგრამ ეს ალბად იმიტომ სთქვა, რომ ბევრი წიგნი წაუკითხავს სოფელში რომ იყო და ახლა ეჩვენება! მეც ხომ ასე დამემართა... ნეტავი, თუ ყოველთვის ასე ხდება!? განა აუცილებელია, რომ ქალს ვაჟი შეუყვარდეს?.. მე ბევრს ვიცნობ ჩვენს გიმნაზიაში შეყვარებულს... კი არაფერი ეტყობათ ისე... მაგრამ რაღაც სხვანაირები არიან!.. მაგ., №-ს ყველა რვეულზე, ყდაზედაც და ფურცლებზედაც ვაჟის სახელი უწერია!! ნატომ მითხრა, №-ი გულზედაც კი ატარებს „იმის" სურათს! მე ეს სისულელედ მიმაჩნია, თუმცა არ ვიცი, იქნება, არც იყოს სისულელე!..

„ნატომ მითხრა:

— მე რევოლიუციონერი მიყვარსო!!—დარწმუნებული ვიყავი, რომ ნატოს სწორედ ამისთანა კაცი შეუყვარდებოდა!.. კიდე უნდა ვკითხო კარგად!.. მე კი არ ვიცი რა ნაირი კაცი შემიყვარდება!!

...17 მარიამობისთვე.

„ნატოსთან ვიყავი. ის რაღაც სქელ წიგნს კითხულობდა. „Очерки по политической экономіи" ასეთი სათაური აქვს იმ წიგნს. მითხრა, „იმან" მომცაო და წაკითხვა მირჩიაო!—ნატოს, იქნება, ესმის, მაგრამ მე კი ვერ გავიგებ მაგისთანა წიგნს!.. მე ხომ სულ რომანებსა და მოთხრობებს ვკითხულობ!.. რა ბედნიერია ნატო!! „იმის" სახელიც მითხრა!—ანდრო!—რა კარგი სახელია! მე მომწონს ეს სახელი!.. თურმე თავისუფლად ვერ იცხოვრებს!.. პოლიციის ეშინია! საცოდავი ნატო! ძალიან ჯავრობს!..

...აი, რა კარგია ნატო!!—დარწმუნებული ვარ, რომ იმ დიდ წიგნს იმის ხათრისთვის კითხულობს! ნეტავი, მანახა როგორი კაცია?! უსათუოდ ლამაზი იქნება, რადგანაც მე კარგად ვიცი ნატოს გემოვნება.—ის ცუდს არასოდეს შეიყვარებს... უსათუოდ გავიცნობ ნატოს ანდროს!.. ერთიც ვნახო, მეც შემიყვარდა!.. ხომ შეიძლება ის მეც შემიყვარდეს! არა ერთხელ წამიკითხავს მაგისთანა ამბავი! ნეტავი თუ ეწყინება ეს ნატოს? ნეტავი, თუ ჩვენს შორის ისეთივე შური და მტრობა იქნება, როგორც სწერია რომანებში?.. ჩემის აზრით ეს არასოდეს იქნება ჩვენს შორის!.. არ იქნება, რადგანაც ნატოს და მე ერთმანეთი ძალიან გვიყვარს და ურთმეორეთ ვერ გავძლებთ! ესეც რომ არ იყოს, ნატოსათვის უკეთესი არ იქნება განა მისი ანდრო მეც მიყვარდეს? ორის სიყვარული ხომ უფრო მეტი იქნება და ანდროსთვის უკეთესი!..

„ვაჟებს ჩხუბი მოუვათ თურმე!—დუელში გამოიწვევენ ერთმანეთს! ჩემის აზრით ეს იმიტომ უნდა იყოს, რომ მამაკაცები ავები არიან და ეგოისტები! მაშ, ქალები რატომ არ ჰკლავენ ერთმანეთს დუელში?!

„მე ასე მაქვს წარმოდგენილი: ის, ვისაც მე შევიყვარებ, უნდა უყვარდეს სულ ყველას!.. სულ, სულ ყველას!.. დიდი სისულელე არ იქნება ჩემის მხრით, რომ ეს მე მეწყინოს?.. თუმცა... მე ბევრი რამ არ ვიცი კიდე და ამიტომ, შეიძლება, ვცდები!..—ეს ქვეყანა რაღაც სხვანაირად მეჩვენება თანდათან!!

„არა, უსათუოდ წავიკითხავ, ნატოს რომ აქვს იმ წიგნს! მე ვატყობ, რომ ბევრს რასმე ახალს მეტყვის იგი წიგნი და ბევრს რასმე შემასწავლის!.. ანდრო, ეტყობა, დიდი კაცია და ჭკვიანი!

24 მარიამობისთვე.

„ამ დღეებში სულ წვიმდა... ერთის მხრით ცუდია წვიმა, ხოლო მეორე მხრით—არა! კარგია, როცა აივანზე ხარ შენთვის, მარტო, რაღაცას ფიქრობ და ამ დროს დიდრონი, მომსხო-მომსხო წვეთები სცვივიან მაღლიდან და ბაკუნით ეცემიან სახლის სახურავზე! ისეთნაირი ხმაურობა გაისმის, თითქო მთელი ბუნება დაინტერესებულიყოს შენს ფიქრებში და უცნაური აკომპანიმენტით ხელს უწყობდეს შენს ჩუმს აზრებს... შენ კი არ იცი გარკვევით რას ფიქრობ, მაგრამ ფიქრობ კი მაინც დაუსრულებლად! ამ დროს ფიქრები ტკბილია! რომ შემეძლოს დაწერა ყველა ჩემი ფიქრებისა, ბედნიერი ვიქნებოდი!! რა დიდი კაცები უნდა იყვნენ ეს მწერლები? იმათ ბევრი ფიქრები აქვთ და თანაც ისე დააწყობენ, რომ საუცხოვო გამოდის!.. მე მწერალი არასოდეს ვექნები!.. ნატო კი იქნება. კიდეცა სწერს რაღაცეებს! მითხრა: მერე წაგიკითხავო... ანდრო სადღაც წასულა! კიდე ვერ გავიცანი... ნატოს ეშინია, არ დაიჭირონ იგი! ნეტავი, რა იქნება, რომ დაიჭირონ? ალბად, შორს, შორს გადაასახლებენ... საცოდავი ნატო!!.

ერთი კვირა კიდე, და სწავლაც დაიწყება!!

. . . .

27 მარიამობისთვე.

„როგორც იქნა, გავიცანი ნატოს ანდრო!.. ნამეტანი სერიოზული კაცია! სულ ცოტას ლაპარაკობს! მთელი საღამოს განმავლობაში მხოლოდ ერთხელ გაიცინა!..

„მე შევამჩნიე, როცა გაიცინა მაშინ, რომ მარჯვენა ყბა აუცახცახდა და სახეზე ისეთი რაღაცა გამოეხატა რომ მე იგი საშინლად შემეცოდა!.. ანდროს სიცილი არ უხდება! საკვირველია კაცის სახე! თითოეულს განსაკუთრებული სახე აქვს... მე არ მინახავს, რომ ორი კაცი ერთმანეთს ჰგავდეს! ნეტავი, რატომ არის ამდენი განსხვავება?! ჩემის აზრით კი უნდა იყოს!!

„არ შეიძლება ითქვას, რომ ნატოს ანდრო მე მომეწონა!.. ღმერთო ჩემო, უმრავლეს შემთხვევაში მე ნაცნობები არ მომწონს!.. ზოგის ცხვირი არ მომწონს, ზოგის თვალები, ზოგის კიდე... ნიკაპი! ბევრს ხმა ისეთი აქვს, რომ პირდაპირ შიშსა მგვრის! წარმოდგენილი მაქვს, რომ იმღერონ, რა საშინელება იქნება!? ანდროს კარგი ხმა აქვს, მაგრამ სიცილი, გაცინება სულ არ უხდება! რომ არ გაიცინებდეს, მისთვის გაცილებით უკეთესი იქნება!.. ღმერთო, მე ალბად ცუდი ვარ, რომ ნაკლს ვამჩნევ სხვას!! რას უნდა ნიშნავდეს ეს? მე იმდენად ცუდი ვარ კიდე, რომ ვგრძნობ,—ნატოს ანდრო ჩემს დღეში არ შემიყვარდებოდა!!.. და ნატოს კი უყვარს ის!! ნატო კი ჩემზე გაცილებით უკეთესია!.. უსათუოდ უნდა გავიგო, რატომ ვარ მე ასეთი!.. მგონია, რომ მე იმისთანა კაცი შემიყვარდება მხოლოდ რომელსაც პირისახე ზედმიწევნით წმინდა აქვს და ლამაზი!.. სიცილი კი ისეთი უნდა იცოდეს, რომ, როცა გაიცინებს, მე არ უნდა შემეცოდოს!.. ღმერთო, შეგცოდე და, მე მეცოდება მხოლოდ საწყალი... თუმცა რაებს ვამბობ?? დამნაშავე ვარ ნატოს წინაშე; სხვა რომ არა იყოს!! ნატო, გენაცვალე, მაპატიე, რადგანაც მე თვითონ არ ვიცი, რას ვწერ!!

30 მარიამობისთვე.

„გადაწყვეტილი გვქონდა უკანასკნელად გვესეირნა ქალაქ გარედ, ჩვენს საყვარელს ადგილებში. ავისრულეთ სურვილი კიდეც... რა მშვენიერია ქვეყანა!! მაგრამ ქალაქი არ მომწონს! სულ მტვერია, რახარუხი ისეთი ხმაური, რომ კაცი სულს თავისუფლად ვერ მოითქვამს! სულ სხვაა იქ, სადაც ქალაქი არ არის! ჩვენ გვასწავლეს დედა-მიწის სივრცის აღწერა და მადლობა ღმერთს, ქალაქები სულ ცოტაა ზედ,—აქა-იქ რაღაც პატარა წერტილებად სჩანან! მთები, ტყეები, მინდვრები კი ბევრია, თვალუწდენელი, დაუსრულებელი!.. ნეტავი შემეძლოს, ფეხით შემოვიარბინო დედა-მიწა!!... დიდი ხანია მაწუხებდა ერთი რამ და გუშინ ნატოსაც ვუთხარი, მაგრამ იმანაც ვერ ამიხსნა!—რატომ არ შეიძლება კაცმა მთელი ქვეყნიერება ერთად წარმოიდგინოს! მაგ., ადვილი წარმოსადგენია ხე თავის ტოტებით, ფესვებითაც მდინარეც დასაწყისიდან ბოლომდის, სხვადასხვა ადგილებიც—მთა, მინდორი .. მაგრამ მთელი ქვეყანა ერთად წარმოუდგენელია! მე მგონია, ეს იმიტომ არის რომ ქვეყანა დიდია ძალიან და, რაც უმთავრესია, მრგვალი! ეს არის ალბად მიზეზი, რომ ყოველ მხრით ერთდროულად არ შეიძლება მისი წარმოდგენა! თუმცა რა ვიცი, იქნება სხვას კი შეუძლია, მე და ნატომ კი ვერ მოვახერხეთ!.. ანდროსთვის ჯერ არ გვიკითხავს! თუმცა მე მისი მეშინია ვაი თუ დაგვცინოს!!

„გუშინ რო მინდორზე ვიყავით იქ პატარა ღელე გარბის. ღელე ეძახიან, უმჯობესი კი იქნებოდა რუ ეძახონ, მიტომ რომე ის ანკარა და რაკ-რაკით მორბის... ერთ ადგი ლას ღრმა არის ძალიან. ნატოს ტა ნის დაბანვა უნდოდა, მაგრამ მე და ვუშალე! მადლობა ღმერთს, რო დამიჯერა, თორემ შეიძლებოდა ცუ დი რამე დაგვმართოდა!—რო ნა პირზე რო ვისხედით და მოკრეფი ვარდ-ყვავილებს ვკონავდით, სიმღე რით ჩაგვიარეს უცნობმა ვაჟებმ მათ ხელები ერთმანეთის მხრებზ ქონდათ გადადებული და ისე მიდ ოდნენ, თითქო მთვრალები ყოფ ლიყვნენ! იქნება, მთვრალებიც იყ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ალექსანდროპოლში შეგროვილი ბოსტნეულობა.

ცალკეა მოთავსებული სხვა და სხვა სკოლის მიერ გამოფენილი ექსპონატები, რომელთა შორის საყურადღებოა: იგდირის ორ-კლასიანი სკოლისა: ვაშლი და მსხალი, ხმელი ხილი, ბადაგი, ჩირეულობა და ატმისა და დუთმის კონსერვები; ყუბის საბალონნო სკოლის ხილეულობის დიდი კოლექცია; ოზურგეთის სამოქალაქო სკოლის სამეურნეო განყოფილებისა, გორის სემინარიისა, დაკესამანის ორ-კლ. სკოლისა, მუხრანის ორ-კლ. სკოლისა; სოხუმის ოლქიდან: მიხეილის სახელობის ორ-კლასიან სკოლის., თამიშის ორ-კლ. სკოლისა და ვლადიმირის სახელობის ორ-კლ. სკოლისა.

გამოფენაზე ბ-ნი კრისტოფოვიჩი აჩვენებდა ხილის გახმობის წესს.

წინამძღვ.-კარის სკოლის იუბილეის გამო

ბაქო. წერა-კითხვის საზოგ. ბაქოს განყოფილება ულოცავს ღრმად პატივცემულს ილია წინამძღვრიშვილს 30 წლის მოღვაწეობის იუბილეს და უსურვებს მას ყოველ სიკეთეს, ხოლო მის პირმშო-სკოლას, რათა ხანგრძლივად ყოფილიყოს წყარო ქართველთა შორის სასარგებლო ცოდნის გამავრცელებელი.

გამგეობა.

ჩაქვი. მიყრუებულს კუთხეში შემთხვევით შეკრებილნი პატივისმცემელნი წინამძღვარ-კარის სკოლის დამაარსებლის და ხელმძღვანელის, ილია წინამძღვრიშვილისა, გულწრფელად ვუსურვებთ მას, როგორც საუკეთესო ქართველს, ქართველთა შორის სამეურნეო ცოდნის პიონერს, ხანგრძლივ სიცოცხლეს, მის მიერ დაარსებულ სკოლას კი—განვითარებას.

ძონდობილობთი: სოლომონ ქეიშვილი, გიორგი მარგალიტაძე, მიხეილ შარაშიძე.

უგანათლ. თავადის უჩა დადიანის საქმე*)

(საკუთარ კორესპონდენტისაგან)

დასრულდა თავად უჩა დადიანის საქმე. პროკურორისა და ვექილების სიტყვები არ გამოცვნია მკითხველებისათვის და ვფიქრობ, რომ არც საჭირო იყო: არც ერთ მხარეს მაინცა და მაინც საყურადღებო და ახალი არა უთქვამს-რა პროკურორმა სულ ორიოდე სიტყვით აღნიშნა დანაშაულობა ბრალდებულებისა და მოითხოვა დასჯა, დადიანისა, კახიძისა, ალშიბაიასი და ბაკურიას გარდა, ოლქის სასამართლოში გამართლებულ კნ. დადიშქელიანისა და ზაქარიასი. პროკურორმა უარ-ჰყო ზოგიერთი ბრალდება, რაც ოქმში იყო აღნიშნული და რაც გამოძიების დროს ითქვა. უარ-ჰყო, მაგალითად, ბრალდება მოწამვლის შესახებ: მოწინააღმდეგეთა შორის ურთი-ერთობა იმდენად გამწვავდა, რომ ამბავი მოწამვლის შესახებ აშკარად ზღაპარიაო, სთქვა მან.

ვექილი რვა იყო, მაგრამ არც ერთს ის შთაბეჭდილება არ მოუხდენია, რასაც მოელოდნენ. ზოგმა ლაპარაკიც-კი არ იცოდა, ზოგს ხეირიანი რუსული არ ეხერხებოდა და სიცილს იწვევდა. ბევრი სამართლიანად ამბობდა, უმჯობესი იყო, რვა ვექილის ნაცვლად, ორი მოეწვიათ, მაგრამ მომზადებული და კარგი მოლაპარაკეო. პეტერბურგელმა ვექილმა ბობრიშჩევ-პუშკინმა მთელი თავისი სიტყვა გარეგან-ეფექტებზე დაამყარა და, რასაკვირველია, მოსამართლეებმა იმის ნათქვამს არავითარი ანგარიში არ გაუწიეს. ეტყობოდა, რომ საქმეს კარგად არ იყო გაცნობილი. ცოტად თუ ბევრად შინაარსიანი სიტყვები წარმოსთქვეს ვექილებმა კლანკმა და მიქელაძემ.

მთელი საქმე პალატაში მიჰყავდათ ისევ თვით მოდავეებს, უჩა დადიანსა და ოთარ დადიშქელიანს. არც საკვირველია: აშკარად ეტყობოდა, რომ ესენი სასიკვდილოდ არიან შეტაკებულნი. ყოველი მათი სიტყვა ურთი-ერთისადმი უზომო სიძულილითა და სიზღით იყო გაჟღენთილი. თავადმა ოთარმა თავის სიტყვაში პირდაპირ განუცხადა პალატას,—რა სასჯელიც უნდა მიუსაჯოთ ბრალდებულებს, მე მაინც კმაყოფილი და დამშვიდებული არ ვიქნებიო.

ცხრა დღე მოუნდა პალატას ამ საქმეს. განაჩენი უკვე მოგეხსენებათ: სამ ბრალდებულს კატორგა მიუსაჯეს: დადიანს—20 წლით, კახიძეს და ალშიბაიას—ათ-ათი წლით, ერთ ბრალდებულს, ბაკურიას—ტუსაღთა გამასწორებელი რაზმი, 2 წლითა და 8 თვით, ხოლო კნ. დადიშქელიანისა და ზაქარია გაამართლეს. უნდა ვაღვიაროთ, რომ დამსწრე საზოგადოების დიდი უმრავლესობის თანაგრძნობა ბრალდებულთა მხარეს იყო და უკანასკნელ დღემდე ეჭვიც-კი არ გაუვლიათ, რომ მათ გაამართლებდნენ. ბევრისთვის განაჩენი მოულოდნელი იყო.

ცხრა დღე მოუნდა პალატა საქმეს და ამ ხნის განმავლობაში იმდენი ჭუჭყი და ტალახი გამოაშკარავდა, რომ გარეშენი გაოცებას ეძლეოდნენ. ეს პროცესი ნამდვილი დასურათება იყო ქუთაისის გუბერნიის მცხოვრებთა, უმთავრესად თავად-აზნაურთა, ზნეობრივ დაცემისა და დაკნინებისა. საკმაოა გავიხსენოთ მარტო ის ბრალდებანი, რომელიც ურთი-ერთს დასდეს ოთარ დადიშქელიანმა და უჩა დადიანმა. ერთმა სთქვა მეორეზე—უბრალო ხატებს დიდ კაცობაში ძველის-ძველ ხატებად ასაღებდაო და ფულს იღებდაო; მეორემ პირველზე —ყალბი ფულის მოჭრაში და მამა-პაპათა საფლავების გათხრაში (ძველი ნივთების ამოსაღებად) მონაწილეობას იღებდაო. ბეზღობა, ურთი-ერთის გაუტანლობა, მეზობლის დაღუპვა, მუქთა-ხორობა—ხომ ჩვეულებრივი მოვლენა ყოფილა ჩვენ „კურთხეულ“ დასავლეთ საქართველოში. სამწუხარო და სავალალო ის კი არ არის, რომ ჩვენში ბევრი ავი და ბოროტი კაცი გაჩნდა,—სად არ არის ასეთი ხალხი!—სავალალო და სატირალი ის არის, რომ ჩვენ ავი და კარგი ველარ გაგვირჩევია, ზნეობრივი საზომი ადამიანობისა და კაცობის დასაფასებლად აღარ გაგვაჩნია!

სანუგეშოდ ის დაგვრჩენია მხოლოდ, რომ ყოველივე ეს გარდამავალი ხანის ნაყოფია, ხოლო ის წრე და კლასი, რომელმაც ამ პროცესის დროს ასეთი სურათი გადაგვიშალა თვალ-წინ, ჩვენი ერის ხორც-მეტი ნაწილია, რომელიც დღეს თუ არა, ხვალ სამუდამოდ გაჰქრება ჩვენი ქვეყნის ზურგიდან...

მუშათა ცხოვრება

◆ პეტერბურგის **ტრამვაის მუშების** შორის უკმაყოფილებაა. მუშებმა გამოიწვიეს ტრამვაის გამგე მოსალაპარაკებლად, მაგრამ გამგემ უარი განაცხადა. მუშები ღამის მუშაობისთვის ჯამაგირის მომატებას მოითხოვენ. მოსკოვის პარკში შეიკრიბებიან მუშები და მოილაპარაკებენ მოთხოვნილების წარდგენის თაობაზე.

ღია წერილი

გ-მის ბოქაულს ბ-ს ჩიკვაიძეს.

სოფ. დიდი-ფლეივიდან თქვენ დაგიბარებიათ გლეხი გიგუცა ნოზაძე. თქვენს შინ არ ყოფნის დროს თქვენს მწერალს დაუჭერია ნოზაძე და ძალზე უცემია. ნაცემი ნოზაძე ამის შემდეგ ავად გაჰხდა. გთხოვთ შეგვატყობინოთ, იცით თუ არა თქვენ ეს ამბავი და, თუ იცით, რა ზომები მიიღეთ მწერლის წინააღმდეგ.

როსებ ამირეჯიბი.

თეატრი და ხელოვნება

29 სექტემბერს დანიშნული წარმოდგენა „მეგობრობა“ გადიდვა 6 ოქტომბრისთვის რეჟისორის ივანიძის ავადმყოფობის გამო. **ვისაც ბილეთი ჰქონდ აღებული გამოდგება 6 ოქტომბრისთვის.**

ბაქო. 29 ენკენისთვეს ბაქოშიაც დაიწყო ქართული წარმოდგენების სეზონი. ამ დღეს დრამატიულ კომიტეტის დასმა დასდგა აკაკის „პატარა კახი“. როგორც წინადაც გწერდით, წარმოდგენების გამართვა განზრახულია არტისტიულ საზოგადოების დარბაზში. ეს დარბაზი-კი, გარდა იმისა, რომ შორს არის, უვარგისია. სცენა პატარა, და მოუწყობელია, პატარა აგრეთვე თვით ზალა. მაგრამ სხვა თეატრის შოვნა კომიტეტმა, ჯერ-ჯერობით მაინც, ვერ მოახერხა.

ბაქოელ ქართველებს, უმთავრესად მუშა ხალხს, თეატრი ძალიან უყვართ და, სიშორისა და საძაგელ ამინდის მიუხედავად, ამ დღესაც ბევრნი მიაწყდნენ წარმოდგენას. სამწუხაროდ თვით წარმოდგენამ სასურველად ვერ ჩაიარა. ბევრი ნაკლი ამ წარმოდგენისა შედეგი იყო სწორედ სცენის სიპატარავისა და მოუწყობლობისა. გარდა ამისა დასი ეს-ეს არის შესდგა და ჯერ არ შეღუღლებულა და კალაპოტში არ ჩამდგარა. მეცადინეობა და მუშაობა დიდია და სრული იმედია, რომ შემდეგში საქმე კარგად და სასურველად წავა.

წელს რეჟისორად, როგორც გწერდი, მოწვეულია ნ. გვარაძე, ხოლო მსახიობ ქალად—ცაცა ამირეჯიბი. ამ წარმოდგენაში ორივენი იღებდნენ მონაწილეობას. გვარაძე ძველი ნაცნობია ბაქოელებისა, ხოლო ცაცა ამირეჯიბი პირველად გამოვიდა აქ და, უნდა ვთქვა, პირველადვე მიიქცია ბაქოელების ყურადღება. მოხდენილმა ტანადობამ, კარგმა ხმამ და გამოთქმამ შთაბეჭდილება მოახდინა. თამაშობასაც დაკვირვება ეტყობოდა (ტურფას როლს ასრულებდა). უკანასკნელი მოქმედება საკმაოდ გრძნობიერად ჩაატარა.

საერთო ნაკლი წარმოდგენისა იყო მეტად ჩქარი ტემპი და ის, რომ მსახიობების მოქმედებას ნაკლები სიცოცხლე და მოძრაობა ეტყობოდა. ლექს სწრაფად და ერთფეროვნად ამბობენ. ეს ნაკლი თვითონ გვარაძემაც (პატარა კახი) ვერ აიცილა. სუსტი იყო გლეხების სცენაც. ისე შეჯგუფულნი მიდიოდნენ გლეხები, რომ, ნამგლები თუ არა სჯეროდათ, ვერავინ მიხვდებოდა, რომ სამკალად იყვნენ გასულნი. ერთხელ სიმღერაც აერიათ.

ამ საღამოს ყველაზე მეტად დამსწრეთ მოეწონათ ორი მოთამაშე—აბაშიძე (გელა) და მატარაძე (ლევან ქვაბულაძე). ქ-ნი ქეთო ანდრონიკაშვილისა ასრულებდა დედოფლის პატარა როლს.

შემდეგი წარმოდგენა განზრახულია მომავალ კვირას, 6 ოქტომბერს, დასდგამენ ანდრეევის ცნობილ პიესას „დღენი ჩვენი ცხოვრებისა“.

მესამე წარმოდგენაში, რომელიც 13 ოქტომბერს გაიმართება, სხვათა შორის მონაწილეობას მიიღებს ქართული სცენის ძველი და დამსახურებული მსახიობი დავით აწყურელი, რომელიც ეხლა ბაქოში სცხოვრობს. დასდგამენ ცაგარლის „რაც გინახავს, ვეღარ ნახავ!“ სადაც აწყურელს საუკეთესო როლი აქვს.

წკიპურტები

დანამდვილებით გავიგეთ, რომ ახირებულს და უცნაურს „ლიტერატორს“ გ. ქლიბს, რომელიც ჩვენის რედაქციიდან კინწის კვრით იყო გაგდებული, დაუარსება საკუთარი ორგანო, სახელად „გადაგვარებული საქართველო.“

ჟურნალი მოკლე დროში გამოვა, დიდი ზომისა იქნება და ეღირება პრემიებით მხოლოდ ორ მანეთად წელიწადში. ჟურნალში გარდა ჩვეულებრივ განყოფილებათა დაიბეჭდება წერილები იმის შესახებ: 1) თუ როგორ უნდა დაივიწყოს ქართველმა თავისი დედა ენა, 2) როგორ უნდა ებრძოლონ ქართველები საქართველოს ავტონომიას, 3) როგორ უნდა დაიჩლუნგოს საზოგადოდ ეროვნული თვითშეგნება, 4) როგორ შემუშავდეს სტატისტიკური ცნობები იმის დასამტკიცებლად, რომ ქართველ ერისათვის თვითმართველობის შემოღება ყოვლად შეუძლებელია, 5) როგორ უნდა დასახლდნენ ქართველების ტერიტორიაზე არა-ქართველები, 6) როგორ უნდა წარიშალოს სახელი ივერიის ეკლესიისა, და სხვა.

პრემიებად ხელის-მომწერლები მიიღებენ: ათ-ათს დესეტინა მიწას შიდა რუსეთში, ჯვარს ან მედალს და სამი ჩინით დაწინაურებას.

ჩვენ შემთხვევით გადავათვალიერეთ ახალი ორგანოს თანამშრომლების სია: შიგ ბევრი ჩვენებური ცნობილი საზოგადო მოღვაწე, ინტელიგენტი, მასწავლებელი, მღვდელი, ვაჭარი..,

ყოველივე ეს დაუჯერებელი ამბავია. მაგრამ ისეთს დროში ვცხოვრობთ, ვაი თუ უარესებიც დავიჯეროთ!

დეპეშები

(დეპეშათა პეტერბ. სააგენტოსაგან).

2 ოქტომბერი.

უცხოეთი.

ოსმალეთ-საბერძნეთის უთანხმოება.

ვენა. „ზიუდ-სლავიშე კორრესპონდენც“-ს ატყობინებენ სალონიკიდან, რომ ოსმალეთ-საბერძნეთის შორის მოხდა სისხლის მღვრელი შეტაკება კსონტის მახლობლად. ბერძნებმა ოსმალები უკუ აქციეს და დაიჭირეს კოიუნკიოი.

სოფია. გაზეთები იტყობინებიან, რომ ფრაკიაში ოსმალები აწიოკებენ ბულგარელებს, იძულებულს ხდიან მათ მიატოვონ თავიანთი სახლები. ოსმალებს დაცლილი ადგილები სპირიათ ემიგრანტ მუსულმანებისთვის. 1000 ბულგარელი გაიქცა მთებისკენ და იქ იხოცებიან შიმშილისაგან და სიცივისაგან.

ლონდონი. შეიპყრეს სუფრაჟისტი ქალი სილფი პანაგერსტი. რომელიც მიტინგზე მიეშურებოდა.

კორიცა. აქმოვიდა ინგლისის დელეგატი მაიორი დოუტიუალი, რომელსაც დავალებული აქვს მონაწილეობა მიიღოს საურთიერთშორისო კომისიაში, ალბანეთის სამხრეთ საზღვრების დასადგენად.

სტამბოლი. შეიპყრეს დამტარებელი საფრანგეთის ფოსტისა საბერძნეთის ქვეშევრდომი. ხმები დადის, თითქოს ფოსტის დამტარებელს ჰქონდა პროკლამაციები, გამოგზავნილი პარიზიდან, შეჰკეთ-ფაშის ერთ მკვლელთაგან შერიფ-ფაშის მეთაურობით იღებენ ღონისძიებათ საპოზიციო მოძრაობის წინააღმდეგ. საბერძნეთის წინააღმდეგ პორტა ამაგრებს დარდანელთა აზიის სანაპირო ადგილებს, განსაკუთრებით კი სმირნას.

რომი. ბელგრადიდან ცნობაა, იტალიის მთავრობამ მეგობრული რჩევა მისცა სერბიას, რათა სერბიამ დაიცვას ალბანეთის საზღვრები, და ნუ მიიღებს ალბანელთა წინააღმდეგ სასტიკ ზომებს. იტალიის მთავრობა არწმუნებს სერბიის მთავრობას, რომ იგი და ავსტრია-უნგრეთის მთავრობა იმოქმედებენ იმის წინააღმდეგ, ვინც დაარღვევს ლონდონის საზავო დადგენილებას ალბანეთის საზღვრების შესახებ.

რუსეთი.

რიგა. სადგურ მაიორენგოფს ცეცხლი გაუჩნდა. დაიწვა არქივი, საბარგო განყოფილება, ცეცხლის ჩასაქრობი ინსტრუმენტები.

ზღვაზე ღელვაა.

---

[1] *) იხ. „სახ. გაზ.“ № 1007

ნენ!.. ერთმა მე ყვავილი მთხოვა. ნატოს შეეშინდა. მე კი სულაც არ შემშინებია. ავიღე და ერთი ყვავილი მივეცი! რისი უნდა შემშინებოდა? ისიც კაცი იყო და მეც!.. მერე იმან, რომელმაც ვარდი მთხოვა, ლაპარაკიც დამიწყო რუსულად. „არ უპასუხოო“, ჩამილაპარაკა ნატომ, რატომ უნდა გავჩუმებულიყავი! ვუპასუხე და მერე ისიც ვუთხარი, რომ ჩვენ იმას არ ვიცნობდით და ვთხოვე ჩვენთვის თავი დაენებებია... ორი სხვა კიდე მოცილდა ჯგუფს და ჩვენსკენ წამოვიდა. ისინი რაღაც სხვანაირად ლაპარაკობდნენ და ისე ეჭირათ თავი, როგორც მე არასოდეს მინახავს საზოგადოებაში. მე რომ მელაპარაკებოდა, იმან სახელი მკითხა ისეთის კილოთი, როგორც დიდები ჰკითხავენ ხოლმე პატარებს. მაშინ გავწყერი და ჩემებურად შევკარი წარბები. მგონია კიდეც გავუწყერი. არ ვიცი როგორ მოხდა, მაგრამ მათ ბოდიში მოითხოვეს და მოგვშორდნენ. მერე ნატომ მითხრა, ვეფხვს ჰგავდიო და იმათ შენი შეეშინდათო!.. „ქვეყანაზე შენ ვერავინ გაჯობებს და ყველას შენ სძლევო!..“ მე, რა თქმა უნდა, გავიცინე იმაზე. ქებად ჩამოვართვი ეს სიტყვები ნატოს, თუმცა... ხანდახან კი მგონია მართლაც, რომ მთელი ქვეყანა ჩემია და ბედნიერზე უბედნიერესი ვარ! ხანდახან ცუდიც კი ვარ, მაგრამ... ეს არაფერია, გავსწორდები!

. . . . . .

8 ენკენისთვე.

„სწავლა დაიწყო. ახლა ხშირად არ მეცლება ჩემი დღიურისათვის. კლასის ახალი დამრიგებელი გვყავს წელს. მარია ანტონოვნა!.. ჯერ კარგად არ ვიცნობ, მაგრამ ავგულა კი უნდა იყოს! ყოველთვის გამწყრალია!.. ესეც არ მესმის, რატომ არიან გამწყრალი დიდები? ყველას—უმეტესად ასე შემინიშნავს—სახე ჩამოუტირის! ალბად სულ ქალაქებში ცხოვრობენ და ჯავრობენ! მე იმედი მაქვს, რომ ნატო და მე მათ არ დავემგზავსებით!.. ფი!.. როგორ იქნება წყრომა, გაჯავრება და ბუზღუნი! სხვა არა იყოს-რა, სილამაზეს ჰკარგავს კაცი!! დამაცა, როცა გავიცნობ მარია ანტონოვნასაც კი ვეტყვი, რომ ის სულ გამწყრალია და ამიტომ არც არის ლამაზი!

„სადღაც წავიკითხე, რომ კაცმა თავისი ცხოვრება ისე უნდა მოაწყოსო, რომ ბედნიერი იქნესო! მე ძალიან მომწონს ეს აზრი! უსათუოდ ისე უნდა მოაწყოს კაცმა ცხოვრება, როგორც მას უნდა და საუკეთესოდ მიაჩნია მისთვის!—მეც ასე ვიზამ! მაშინ არც გამწყრალი ვიქნები და არც მტირალი! ნატომ და მე კი ვიცით, როგორ უნდა ამის მოწყობა!.. ოღონდ ის კია, რომ ანდრო არ არის თავისუფალი!.. მაგრამ არაფერია ეს! ალბად განთავისუფლდება! მაშ, სულ ასე ხომ არ ივლის!?!

13 ენკენისთვე.

„საშინელი ამბავი დატრიალდა გუშინ!.. საცოდავი ნატო! სულ, სულ იტირა!.. მეც ვიტირე! ანდრო დაიჭირეს და ციხეში ჩასვეს! დღეს ნატო კლასში არ ყოფილა! რა ეშველება ახლა?? კიდე ჩვენ თუ ვუშველით საცოდავ ანდროს!! აი, მამას ვეტყვი, რამე ილონოს! მას ხომ ბევრი რამ შეუძლია! ასეც ვიზამ, სანამ არ გამოაშვებინებს ციხიდან, არ მოვეშვები!.. როგორ იქნება?—ცუდი კაცი არ არის ანდრო, რომ საპყრობილეში ჩაკეტონ!.. უსათუოდ უნდა ვუშველოთ!... ჰეჰ, რა გაუხარდება ნატოს, როცა ანდროს გაანთავისუფლებენ! განთავისუფლებით კი უსათუოდ გავათავისუფლებინებიებ!!!

25 ენკენისთვე.

„შენი ჭირიმე მამაი, რომ თხოვნა ამისრულე! ანდრო თავისუფალია და შეუძლია კიდეც სწავლა განაგრძოს!! ნატო ცას მისწვდა!.. მის სიხარულს საზღვარი არ აქვს! ამიერიდან არაფერი გვიჭირს ქვეყანაზე!.. ისე, ისე წავიყვანთ და მოვაწყობთ ჩვენს ცხოვრებას, რომ მტერსაც თვალი დაუდგება!!

„ამ საღამოს მთელი კამპანია ვიქნებით ნატოსას!... ანდროს ახალი წიგნი გამოუწერია და იმასაც წავიკითხავს!!.. როგორც გავიგე ვახტანგიც იქნება!.. მე ძალიან მიყვარს ვახტანგი, რადგანაც ის ყოველთვის კარგს გუნებაზეა და ისე კარგად ლაპარაკობს, რომ არასოდეს მოსწყინდება მასთან ყოფნა!! პატრიოტია, პატრიოტი ვახტანგი! საქართველოს მეტი არაფერი სწამს!! მე მას ბევრში ვეთანხმები!!!

27 ენკენისთვე.

„ამ დილას რომ ავდექი და აივანზე გავედი, მზე კიდე კარგად არ იყო ამოსული, თუმცა მისი სხივები კი იყო ოქროსფერად გაფანტული ქვეყანაზე! რატომ, არ ვიცი, მაგრამ, გულიდან ყელზე მომაწვა ისეთი რამ გრძნობა, რომ არ ვიცოდი რა მექნა! მინდოდა ხმა მაღლა მეთქვა: „შენი ჭირიმე, ცხოვრებავ, რა კარგი ხარ!! შენ გენაცვალე, მზეო, რა მშვენიერი ხარ!“.. მინდოდა კიდე ხმა-მაღლა დამეძახა: „ნატო, მოდი ჩემთან ახლა!.. რაღაცას ისეთს გეტყვი, ისეთს, რომ გაგეხარდება მეთქი!!..“ ამისთანა სიხარული მე არასოდეს განმიცდია!! მეჩვენებოდა, რომ მზის სხივებში იყო გაბნეული ნაცნობი ხმა და ისე მეალერსებოდა, რომ გული მიკანკალებდა!... ის ხმა ძალიან ჰგავდა რაღაც ვახტანგისას!... თუმცა შეიძლება, მე მომეჩვენა ეს ტყუილა-უბრალოდ, რადგანაც გუშინ საღამოს ვახტანგი ზღაპარს გვიამბობდა!!. ესეც რომ იყოს, მაინც სულ ერთი არ არის!? მე მაინც ვიტყვი: „გენაცვალე, მზეო, ყოველ დილას გახსენი შენი ოქროს კოლოფი და ის **ხმიანი** სხივესი გადმომიყარე-მეთქი!!“..

—

სხვა დაწერილი ადგილები რვეულისა გაცვეთილი იყო და მთლიანად ვერ გავარჩიე. აქა იქ ნაწყვეტებად გაბნეული სიტყვების, თუ წინადადების ნაგლეჯების მოყვანა საჭიროდ არ მიმაჩნია. რაც შეეხება ქაღალდზე ნაწერს, იგი სავსებით მომყავს,—ერთი ხაზიც კი არ შემიცვლია, როგორც ზემოდ ავღნიშნე.

—

ქაღალდზე დაწერილი:

„ნატოს ვენაცვალები, შენი ახლანდელი ადრესი არა მაქვს, მაგრამ მაინც გწერ? ის გარემოება, რომ შენამდე ეს წერილი ვერ მიაღწევს, მე სრულიად არ მაღონებს, რადგანაც მიუხედავად დიდის მანძილისა, რომელიც ჩვენ გვაშორებს, ისე მაქვს წარმოდგენილი, თითქო პირისპირ გესაუბრები, და შენც შენი თანამგრძნობი სახით მისმენ! რამდენი ხანია, ნატო, ერთმანეთი არ გვინახავს? რამდენი ხანია ერთიმეორის არა ვიცით-რა!?.. ჰმ! იქნება, ისე ვართ გამოცვლილნი, რომ ვერც კი შევეთვისებით ძველებურად!.. ნატო გენაცვალე, როგორი ყოფილა ეს ცხოვრება?! აი, დღეს ისეთს გუნებაზე ვარ, რომ უსათუოდ უნდა გელაპარაკო! ვიცი რომ ვერ გეტყვი ყველაფერს, რისი თქმაც მინდა, რადგანაც ის დრო უკვე წავიდა, როცა ეს შემეძლო! მაგრამ იმედი მაქვს, შენ პირველ სიტყვიდანვე გაიგებ ჩემს ფიქრებს ჩვეულებრივად! გახსოვს, ერთის შეხედვით ვაცნობებდით ხოლმე ერთმანეთს გულის ნადებს!—სიტყვები არც კი გვჭირდა! ჩემო ნატო, ახლაც გაიგე და გაინაწილე ჩემი დარდები... ჩემი ფიქრები!

„ჩვენ ახლა დიდები ვართ, ნატო! კარგია თუ ცუდი ეს, არ ვიცი! იქნება კარგიც იყოს! მაგრამ იცი, რომ მე ისევ იმას ვარჩევდი, რაც ვიყავი! შენს შესახებ კი არ ვამბობ, ჩემო ნატო, რადგანაც შენ, იქნებ, ბედნიერი ხარ!! მე იმის თქმა მინდა, რომ მეშინია, ახლა რო დიდი ვარ, დაგიმალავ რასმე... ვერ გეტყვი უმთავრესს ჩემს ჭირს! წარმოიდგინე, ერთის მხრით კი მინდა გაგანდო, გითხრა ყველაფერი, მაგრამ მეორე მხრით, რაღაცა მეუბნება: „ნუ გინდა! იყავი შენთვისო!!“ ეს ხმა არ არის კეთილი! მე მგონია, რომ დიდი ვარ და ამიტომ ჩამესმის იგი ხმა! წინად, აბა, რატომ არ მესმოდა?!

„მე არ მეგონა, ნატო, რომ ცხოვრება ასეთი იყო! რაც კი გვწამდა მე და შენ, რასაც კი ვესავდით და ვეტრფოდით, არც კი ყოფილა ქვეყანად, ან თუ ყოფილა სულ სხვანაირი თვისებებით და სულ სხვანაირი სახით!! მაგ. სიყვარული ბედნიერება კი არ ყოფილა, არამედ საშინელი უბედურება!.. ამით ის კი არ მინდა გითხრა, რომ მე უკვე ვიცი სიყვარული!.. არა! ჩემდა საუბედუროდ არ ვიცი კიდე იგი, მაგრამ იმდენად კი ვიგრძენი, რომ ასე ვსთქვა!.. გახსოვს, უკანასკნელ დროს, როცა ვათავებდით გიმნაზიას, ნუცა მეუბნებოდა:—„შენ ჩამორჩენილი ხარ, ქეთოო!!“—მართალია! ამას ახლა მივხვდი მხოლოდ! თუ კი დრო არის ყოველთვის მართალი, მაშინ მე მტყუანი ვარ და ჩამორჩენილიც! მე ამ დროის, ნატო, არაფერი მესმის! სად არის მისი მართალი მე ვერ გავიგე!.. თვითონ განსაჯე, რატომ უნდა იყოს ჩემთვის ჭეშმარიტება ის, რაც სხვებს სწამს, რაც დროს მიერ არის მოტანილი!? თუ კი მე არ მწამს, თუ მე ვერ ვეთვისები??.. ამას სხვათა შორის ვამბობ, რადგანაც ასეთი კითხვები ხშირად მებადება და პასუხს კი ვერ ვაძლევ! ხოლო ამას ერთგვარი დამოკიდებულება კი აქვს იმასთან, რაც მინდა გითხრა!!

„ხომ იცი, მე ყოველთვის წინააღმდეგი ვიყავი ჩივილისა, ტირილის! ვინც კი მოსთქვამდა უბედურებაზე, მე მას გლახაკს ვეძახდი! ჰმ! რომ მომაგონდება ახლა ეს, მეცინება ჩემს თავზე! აი, როგორ იცვლება თურმე ყველაფერი!..

„ყური მიგდე!—რუსეთში რომ ჩამოვედი, თავიდანვე დიდის ხათრით შევუდექი მეცადინეობას! ბევრი ახალი ცოდნა შევიძინე! ჩვენს საერთო საყვარელს საქმეს დავეწაფე გულმოდგინედ! ამხანაგებშიაც კარგად ვიყავი და დედასთანაც, რომელსაც ყოველ კვირას ვწერდი მთელს ჩემს ვითარებას!.. ორმა ამხანაგმა ქართული გაზეთიც კი დავიბარეთ, რათა სამშობლოს ცხოვრებისათვის გვედევნებია თვალყური...—ხომ ხედავ, რა ჭკუით ვიყავი და დროს ტყუილად არ ვკარგავდი!.. მაგრამ... ნატო, შენი ჭირი შემეყაროს, მითხარი, გამაგებინე, რად ხდება ცხოვრებაში ის, რაც კაცს არ უნდა? თურმე, ჩემო ნატო, ტყუილად გამიცვნია ცხოვრებისათვის!.. სულ ტყუილი ყოფილა ყველაფერი, სულ ტყუილი!!

„გესმის რა არის ტყუილი? ნატო, იცი რა საშინელია ტყუილი?.. შენ იქნება, კარგი ხარ ახლაც და აღარ გესმის, თუ რას გეუბნები!.. მე რომ ტყუილზე გწერ, იქნება, გონია, შაბლონურს, უბრალო ტყუილზე გეუბნები!? არა, ნატო!

„მე ვგულისხმობ იმ **უშველებელს** დიდ ტყუილს, რომელიც ყოველნაირ რწმენას სპობს კაცში, ყოველნაირ იმედს!! იგი ტყუილი, ნატო, ქვეყანას უდაბნოდ მოგაჩვენებს!.. მას შემდეგ არაფერია უკვე ცხოვრებაში, არაფერი!!—სიცარიელე სიკვდილისებური, სიცარიელე შავი და საშიში მოიცავს სულს!!

რომ გაგიგონია: „მე არაფერი მწამს“, „მე ურწმუნო ვარ“,—იცოდე, მხოლოდ სიტყვებია! ნამდვილად კი კაცმა რომ რწმენა დაკარგოს, უთუოდ დაიღუპება... და აი, სწორედ მე ვდგევარ ასეთს გზაზე!

— „ვაიმე, ნატო, რომ იცოდე, რა ცეცხლი ანთია ჩემს გულში!!!

„ყოველ დღეს სახლიდან ფულს მოველი, რომ მალე წავიდე აქიდან! დედაჩემი მინდა ვნახო! უნდა ვნახო დედა, რომ მისი ხმა გავიგონო და მის თვალთა ხედვაში ვიპოვო ის, რაც მიხსნის საშინელებისაგან.

. . . .

„მაგრამ, მგონია, ის ვერ გითხარი, ნატო, რისი თქმაც ამ წერილის თავშივე მინდოდა.... ვერ გითხარი, ხომ?... მეშინია, ნატო, მეშინია და ამიტომ ვერ ვამბობ!!.. თუ გამიგებ ისე, ბევრად შემიმცირდება ტანჯვა!! მითხარი მაშ, რომ გესმის, ჩემო ნატო, შეუდარებელო და დაუვიწყარო ჩემო ნატო!!—მე მინდა, რომ შენ იცოდე ჩემი გასაჭირი!!....

ამ ადგილზე შეწყვეტილიყო წერილი. შემდეგ რამდენსამე ხაზს ქვეით დაკლაკნილი ასოებით ეწერა:

„სად არის, ნატო, ის ნეტარი დრო, როცა ბედნიერები ვიყავით? სად გაჰქრა იგი? თუ წარმავალი იყო, ცხოვრებასთან შეუფერებელი, **რისთვის იყო სულ, რა მიზნისათვის, რა დანიშნულებისათვის??...**—სად არიან, ნატო, იმედები... ჩვენი იმედები??.. ვინ წაგვართვა ჩვენ ისინი??....

ეს ბარათი ხელმოუწერელი იყო.... იქნება, ავტორი ფიქრობდა, რომ წერილი დამთავრებული იყო?!?!

ლელო ქიაჩელი.

ოდესა. ხოლერით გარდაიცვალა ერთი კაცი.

ვერნი. დილის $5^1/_2$ საათზე მიწა ძლიერ იძრა.

ნოვოჩერკასკი. ნოვოპეტროვსკის სლობოდაში 5 შავი ჭირით საეჭვო ავადმყოფი აღმოაჩინეს.

სინოდმა ნება დართო მურომცევის ძეგლის აგებისა მის საფლავზე.

ბეილისის საქმე.

კიევი. ჩვენებას ართმევენ მოწმეებს, ბოგდანოვს და ბეილისის ძმას, არონ ბეილის პირველი ახალს არაფერს ამბობს, მხოლოდ მეორეს გადავიწყებია პირვანდელი ჩვენება და სასამართლო აქვეყნებს. ორივე მხარე მოწმეს კითხვებს აძლევს. ირკვევა, ბეილისს ძროხები 1911 წელს გაუყიდია სიღარიბის გამო. მოხუცი ზაიცევი 1907 წელს გარდაიცვალა— ძლიერ მორწმუნე კაცი იყო და ხასიდების სექტას ეკუთვნოდაო. ბეილისი ზაიცევთან დადიოდა მაცის გასაკეთებლად, რომელსაც რაბინი დაესწრებოდა ხოლმეო. ყოველ წელს ბეილისი 100 ფუთს ფქვილს დაამზადებდა მაცისთვის და შემდეგ ჰყიდდაო. გრუზენბერგი აღნიშნავს, მაცა იყიდებოდა, ვიდრე მოხუცი ზაიცევი იყო ცოცხალიო. გამოაქვეყნეს არ გამოცხადებულ მოწმის ბონდარევის ჩვენება, რომელიც უარს ამბობს, გოლუბევისთვის არ უთქვამს, თითქოს ბეილისი ქრისტიანის სისხლით მოზელილ მაცას ჰყიდდაო. ოთხს საათს გასტანა მაძებარ პოლიციის აგენტის პოლიშჩუკის ჩვენების ჩამორთმევამ. პოლიშჩუკი კრასოვსკის და ვიგრანოვთან ერთად იძიებდნენ 1911 წელს იუშჩინსკის საქმეს. მოწმე უამბობს სასამართლოს: ორი კვირის წინად მოკლულის გვამის აღმოჩენამდე, ბავშვები თამაშობდნენ ყინულზე, ვიღაც შავწვერიანი, რომელიც ბეილისი უნდა ყოფილიყოს, ბავშვებს ერეკებოდა. ბეილისთან ვიღაც ურიები ყოფილან, რომელნიც ლოცულობდნენ, ბეილისი ანდრიას მამის ჩვენებას შეპირდა. კრასოვსკის აზრით ბავშვი ქარხანაში არ იყო მოკლული. ნათესავების დატუსაღებით არაფერი გამოირკვა. განსვენებულის მამა და ერთი ებრაელი შორეულს აღმოსავლეთში წავიდნენ, შემდეგ ეს ებრაელი დაბრუნდა კიევს. ბავშვს ძლიერ სწყინდა თავისი უკანონოდ შობა და მამასთან წასვლას მოისურვებდა. ქარხანაში მცხოვრები ებრაელი პავლე ბავშვს მამის ნახვას შეჰპირდა. ქარხანაში რაღაც სექტა იყო. ბრალმდებლის შეკითხვაზე მოწმე უპასუხებს — შეიძლება ეს ებრაელი პავლე თაიველი, ან შნეერსონი იყოო. მოწმეს ძლიერ აოცებდა კრასოვსკის მოქმედება, როცა ბეილისის დაჭერის წინ შნეერსონი მიიმალა. ბეილისის დაჭერის შემდეგაც ლაპარაკობდნენ, ბავშვი ქურდებმა მოჰკლესო. შმაკოვის შეკითხვაზე მოწმე ამბობს, ბავშვები იმას ამბობენ, რომ ანდრია ბეილისთან დადიოდაო. შნეერსონი, კრასოვსკი და ბრაზულ-ბრუშკოვსკი შეთანხმებით მოჰქმედებდნენო. ჟენია ჩებერიაკმა ყველაფერი იცოდა, მაგრამ დედა უშლიდა არ ეამბნა, რადგან არ უნდოდა თავი შეაწუხებინა, ან იქნება სხვებიც არ აძლევდნენ ბავშვს ამის ნებასო, დასძენს მოწმე. ჟენია გარდაიცვალა მას შემდეგ, როცა კრასოვსკიმ ტკბილეულობით გაუმასპინძლდა ბავშვსო. ჟენიას სიკვდილის ჟამს მოწმე მასთან ყოფილა. ბავშვი ბოდავდა და ევედრებოდა დედას, ნუ მოაგონებს ანდრიუშას სახელს, რადგან ეს ძლიერ სტანჯავს მასო. ზამისლოვსკს მოწმე უპასუხებს, პირველად სულ ქრისტიანები დაატუსაღეს და არა ებრაელები, თუმცა ბევრს ლაპარაკობდნენ, იუშჩინსკი ებრაელებმა მოჰკლესო. ბრალმდებელს მოწმე უპასუხებს, ბეილისი და ჩებერიაკი ძლიერ დაახლოვებულნი იყვნენ, მაგრამ ამას არავინ მიაქცია ყურადღება. ჩებერიაკის გასამტყუნებელი საბუთები არ იყოო. ბრალმდებლის შუამდგომლობის გამო ოქმში შეიტანეს მოწმის განცხადება: ზოგი ბავშვები რომ ამბობდნენ, 12 მარტს იუშჩინსკი წიგნით იყო და ზოგი კიდევ ამბობდა უწიგნოთაო. ლანდაუ და ეტინგერი ქარხანაში მარტში იყვნენო. პროკურორის შეკითხვაზე მოწმე უპასუხებს, ბეილისი გამოცვლილია, წვერი წინად უფრო გრძელი ჰქონდაო.

მაკლაკოვის შეკითხვაზე, რატომ ჩებერიაკოვას, რომელსაც აგრე ცუდი სახელი აქვს, მოწმეების სიტყვით საეჭვო პირებთან აქვს დამოკიდებულება და ბეილისთანაც კარგს განწყობილებაშიც არისო, რატომ ამ ჩებერიაკოვას არ მიაქციეს ყურადღებაო, მოწმე უპასუხებს, მღვიმე, სადაც ბავშვის გვამი იპოვეს ჩებერიაკის ბინისაგან 150 ნაბიჯის სიშორეზე არისო, მაშასადამე ძლიერ ახლოსო.

ბავშვი ლიუდმილა ჩებერიაკი აჩვენებს, უკანასკნელად ანდრიუშა უპალტოდ ქამარში წიგნებ გამოყრილი მოვიდაო. დედა ბაზარში, ხოლო მამა ქარხანაში ყარაულობდაო. ანდრიუშა გვიწვევდა სათამაშოდ და ვიღაც ბავშვებთან ერთად სათამაშოდ წავიდაო. ბეილისი და ორი ებრაელი დაედევნა ჟენიასა და ანდრიუშას, ჟენია გაუსხლტად, ხოლო ანდრია, როგორც ეს ბავშვისთვის უამბნია დას ვალიას, ბეილისს ამის შემდეგ აგურის დასაწვავისკენ წაუყვანია. ანდრია აღარ უნახავს. ერთს საღამოს ბავშვები დაუჭერია ორ ებრაელს და დაუყვირია: „სად არის იუშჩინსკის მღვიმეო“ ბავშვებს წივილი აუტეხნიათ და ებრაელები გაქცეულან. ამის შემდეგ ჩებერიაკოვებს ძაღლები დაჰკარგვიათ. პირისპირ წაუყენებენ დუნია ნაკონეჩნაის და მოწმეს. დუნია ამბობს, როცა ჩვენ ვცურაობდით, ბეილისი არ მოსულაო. მერე მიუბრუნდება მოწმეს და ეტყვის: „ჯერ მოიგონე და მერმე სთქვი ტყუილიო“. თავმჯდომარე შეაჩერებს ნაკონეჩნაიას ლიუდმილა სტირის და ამბობს: „მე მეშინიან“. შემდეგ ბავშვი უამბობს სასამართლოს, რომ ხაჭაპურებს კრასოვსკი და ვიგრანოვი აჭმევდნენ და ეუბნებოდნენ: ტყუილი არა სთქვა. ბევრს ნულაპარაკობთო“ ხოლო პოლიშჩუკი ემუქროდა, ბეილისს ხელი არ დაადოთო. თავმჯდომარის წინადადებით ლიუდმილა ოთახში მიჰყავს პოლიშჩუკს და ამბობს: „მეშინიან“.—პოლიშჩუკი უარს ამბობს, ბავშვები არ მიშინებიაო. დედა სიმართლის ჩვენებას ურჩევდა. მოწმე—საათს ვერ წაიკითხავს და ამიტომ ვერც იტყვის, ანდრია რომელ საათზე იყო. გამოაქვეყნეს ჟენია ჩებერიაკის სამი ჩვენება. პირველ ჩვენების დროს ჟენია აცხადებდა, ანდრია ათი დღით ადრე, ვიდრე დაიკარგებოდა შუადღისას მოვიდა, პალტო არ ეცვა, სლაბოდკაში გადასვლის შემდეგ მეგობრობა იუშჩინსკისთან აღარ ჰქონია და ანდრიას იურკოვიცაზე აღარ მოდიოდაო. უკანასკნელად შობის წინა დღეს ვნახეო. მეორე ჩვენების დროს ჟენიას ულაპარაკნია: ანდრიას წიგნები ქამარში ჰქონდა გაკეთებული, პალტო არ ჰქონდა, ეტლეს შვილთან წავიდა და დაბრუნდა. ანდრია უკანასკნელად გვამის აღმოჩენის ათი დღის წინად ნახა. ამავე საღამოს ყავახანაში მთვრალმა დობჟანსკიმ უთხრა: „ანდრიუშა აღარ არის, იგი აკუწესო“ დობჟანსკი ამოთხუნული იყო. ეს დედისთვის უამბნია, დედას უთქვამს, სტყუიო. მესამე ჩვენების დროს ჟენია ამბობდა, ანდრია 12 მარტს ჩვენსა არ ყოფილაო. ხშირად ვთამაშობდით იმ ადგილას, სადაც მღვიმეა, მაგრამ იმ მღვიმეში, სადაც ანდრიას გვამი იპოვეს, ჩვენ არას დროს ვყოფილვართო.

საღამოს კრებაზე აუარებელი ხალხია, მეტ წილათ სასამართლოს მოხელენი. დაიწყო ვერა ჩებერიაკის შეკითხვა. მოწმე უამბობს სასამართლოს ბავშვების ამბავს, იმათ ყინულზე ცურაობას, გვამის პოვნის ამბავს და იმასაც დობჟანსკიმ რომ უთხრა მოწმეს: „ჩვენ ყველაფერი ვიცით, ბავშვი ფულისთვის მოჰკლეს“. დასაფლავების შემდეგ მოწმე მალიცკაიას დაბეზღებით დაუტუსაღებიათ. მერმე უამბობს ჟენიას სიტყვებს თუ როგორ გამოედევნა ბავშვებს ბეილისი და ანდრია დაიმარტოხელავა, მოჰყვება თავის დატუსაღების ამბავს, ბრაზულ ბრეშკოვსკის და ვიღაც კაცის დამუქრებას, თუ მკვლელობას არ გამოაშკარავებდა, ქმარს სამსახურიდან დაითხოვდნენო. ბრაზულთან და ვიგრანოვთან და ერთად მოწმე ხარკოვში ყოფილან და იქ ერთს დღე ნომერში უცხოვრიათ. მოწმე აჩვენებს ვიღაც უცნობს, რომელიც ურჩევდა მკვლელობა თავის თავზე მიელო და დანარჩენის შესრულებას თვითონ კისრულობდა, პირდებოდა საზღვარ-გარეთ გაგზავნას და თუ დაიჭერდნენ საუკეთესო ვექილების დამცველობას ჰპირდებოდა. შემდეგ კიდევ ვიღაც ორ უცნობს 40 ათასი მანეთი შეუძლევია და დახმარება უთხოვნიათ, რადგან ეხლა ძლიერი გასაჭირი აქვთო. ქმარი სამსახურიდან დაუთხოვნიათ და კრასოვსკის სიტყვით ეს გამომძიებელის განკარგულება იყო და თვითონ დაჰპირებია ყველაფრის მოგვარებას. ბრაზულის ბეჯითი მოთხოვნის გამო მოწმე დათანახმებულა. მიფლესთვის ხელი დაედო, რადგან ეგონათ, იქნება მიფლე მართლა მონაწილეობდა ამ საქმეშიო. ბრაზულმა კვლავ განაახლა თავისი წინადადება. სასტუმროში კიდევ შეაძლია ორმა კაცმა 40 ათასი მანეთი, რადგან საჭირო იყო მათთვის ბეილისის გამართლება. ბეილისს მოწმე არ იცნობდაო, რომელთანაც მხოლოდ ბავშვებს გზავნიდა რძის სასყიდლად.

ერთხელ ბეილისთან რძის საყიდლად წასული ჟენია შეშინებული დაბრუნებულა და უამბნია დედისთვის, რომ იქ ვიღაც ორი კაცი ნახა, რომელთაც თავზე რაღაც უცნაური ეწყოთ. მოწმის აზრით, ალბად ლოცულობდნენო. თავმჯდომარის შეკითხვაზე, მოწმე შნეერსონს ამგზავსებს ჟენიას მიერ აწერილ კაცს. კაცი, რომელიც ხარკოვში წინადადებას აძლევდა მოწმეს თავის თავზე მიელო მკვლელობა, მარგოლინი იყო. ბრაზულს უთხოვნია ჩებერიაკისთვის, მარგოლინზე არაფერი ეთქვა. გრუზენბერგს უპასუხებს მოწმე, რომ გამომძიებელს ფონენკოს უთქვამს ჟენიასთვის, თუ სიმართლეს არ იტყოდა ანდრიას ბედს ეწეოდა. ბრაზულს მოწმისთვის ასი მანეთი მიუცია. შმაკოვის თხოვნით სასამართლო ადასტურებს, რომ ანდრიას გვამის პოვნის დროს ჟენიას, როგორც ეს მოწმემ გამომძიებელს აჩვენა, უთქვამს: „ხედავ, დედა, მე თედორემ მითხრა, ურიებმა მოჰკლეს ანდრიუშაო“. ზამისლოვსკის შუამდგომლობის გამო სასამართლო ადასტურებს, ჩებერიაკმა გამომძიებს დროს აჩვენა, რომ ბრაზულს [illegible]თვის ეთქვა: „ფული ყველაფერს იქმს, დობჟანსკი ჩვენს მხარეს არის, ვინც იცის, ისინიც შიშის გამო ჩუმად იქნებიანო“.

„ვერა ჩებერიაკის ქმარი, ვასილი ჩებერიაკი უამბობს სასამართლოს ზეილისის მიერ ბავშვების დევნას და თან დასძენს, ბეილისთან ორი რაბბინი იყოო. ჟენიას ეს მაშინვე უამბნია მოწმისთვის, მოწმეს თავის მხრით უცნობებია დამცველ პოლიციის აგენტისთვის და ბოქაულისთვის. ჟენიას საღამოს ერთი ებრაელი გამოჰკიდებია. კრასოვსკი, ადგილზე დაგაყენებო ჰპირდებოდა მოწმეს. ზამისლოვსკი ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ მოწმეს პირველ ჩვენების დროს ეგევე უთქვამს, როცა ჯერ კიდევ ვერა ჩებერიაკის წინააღმდეგ არავინ ლაპარაკობდაო. კრება დაიხურა.

წერილი რედ. მიმართ

დიდად პატივცემულო ბატონო რედაქტორო! ნება გვიბოძეთ თქვენი პატივცემულ გაზეთის საშუალებით ულრმესი მადლობა გამოვუცხადოთ ხვარბეთის საზოგადოების მცხოვრებს ბიქტორ ელისბარის ძეს ლოლუას, რომელმაც ხვარბეთის ორკლასიან სასწავლებელს შემოსწირა ზარი. ღირებული შვიდ მანეთად და ათ შაურად.

ხვარბეთის ორ-კლასიანი სასწავლებლის მასწავლებელი **ნოე ბზეკალავა**.

შემოწირულება

ბ-ნო რედაქტორო! ამასთანავე გაახლებთ მცირე წვლილს და გთხოვთ გადასცეთ: 1 მან. ავადმყოფ ირ. ევდოშვილს, 1 მან. იაკ. გოგებაშვილის ფონდის გასაძლიერებლად, 1 მან. საზოგადო მოღვაწისა და პუბლიცისტის არჩ. ჯორჯაძის ძეგლის ასაგებად და 1 მან. წმ. თამარ დედოფლის სახელობაზე ტაძრის ასაგებად.

სპარსეთი, ქ. კორანი. **ი. გურული.**

რედაქტორი **ა. ჟუმბაძე.**
გამომცემელი **ა. ჯაჯანაშვილი.**

ვკისრულობთ:

თარგმნას სიტყვა-კაზმულისა და სხვა დარგის ნაწარმოებისას და აგრეთვე ყოველგვარ საბუთის ქაღალდებისას.

კორექტურას ქართულად გამოსაცემ წიგნებისას.

შესწორებას დასაბეჭდად განზრახულ ხელნაწერებისას.

გამოცემას წიგნებისას ავტორთა ხარჯით.

პირობებზე მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე პირადად ამ მისამართით: ტფილისი, მუხრანის ქუჩა, **„შრომის“** სტამბის გვერდით, სახლი № 12. ნაშუადღევის 2 საათიდან 7 საათამდე. ხოლო დილის 9—1 საათამდე ბინაზე: ვაკე, ქართულ გიმნაზიის პირდაპირ, სახლი გაჟონიასი. ტელეფ. 9-25, **ბაბილინა და ნ. (ნარ-კანი) კურდღელაშვილები.**

ფეხსაცმელები
თომა და ჯანყარაშვილის
მაღაზია-სახელოსნოში,
მუხრანის ქ. № 2.
ყოველნაირი:
საკუთარი და პეტერბ.
მეხანიკური ნაწარმოები. 527

გამოცდილი რეპეტიტორი **სტუდენტი ფილოლოგი** ამზადებს მოწაფეებს სხვა და სხვა საშუალო და დაბალ სასწავლებლისთვის.

მოლაპარაკება შეიძლება „სახალხო გაზეთის“ რედაქციაში დილის 9 ს. 3-მდე. 1501.

მემ ნავასარდიანის
პირველი კერძო
სამკურნალო
(დაარსებულია 1880 წელს)
ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ.
ავადმყოფებს მიიღებს ყოველ დღე, გარდა კვირისა.
დ ი ლ ი თ:
„606“ და „914“
11—12 ს. შეუხაპუნება
კონსულტატიურად.

ბ. ა. ნავასარდიანი: 11—12 ს. ქირურგიული და ვენერიული (სიფილ.) ავად.
ბ. გ. ალექსანოვი: 1—2 ს. ბავშვთა შინაგანი ავადმყ.
ქ. მ. ჩიქოვანი: $9^1/_2$—10 ს. თვალისა, შინაგანი და ხერვებისა.
ზ. ი. ბაბახანოვი: 10—11 ს. საშვილოსნო, ქალებისა და ბავშვებისა.
ნ. ტ. მულიანი: 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.
მ. გ. ავეტისიანცი: 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.
ა. ქ. კარაპეტიანცი: 12—1 ს. შინაგანი საბავშვო და ყვავილის აცრა.
ექიმი ქალი **ო. ვ. ტერ-დავიდოვისა** 1—2 ს. საშვილოსნო და ქალების ავადმყ.
ქ. დ. გურგენიძე. 1—2 საათ. შინაგანი, საბავშვო, ყვავილის აცრა, სისხლის და შარდის ბაქტერიოლოგ. გამოკვლევა. საღამოობით 6—7 საათამდე.
ს ა ღ ა მ ო თ ი:
მ. გ. ავეტისიანცი: 6—7 საათ.
რჩევა-დარიგება 50 კაპ. ხელმოკლეთათვის უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები მორიგებით.
სამკურნალოს დირექტორი მედიცინის დოქტორი **ბ. ა. ნავასარდიანი.** 1001

ექიმი ა. ნ. დიასამიძე
კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოვ.-დღე ნაშუადღ. 2—3 ს. საღამ. 6—7 ს. ხუთშაბ. მხოლოდ დილ. 8—9 საათ. კვირ. ავად. არ იღებს. მოსკოვის ქ. № 3. სახ. გაბაშვილისა.

მივიღეთ საყინულე-მატარებლით
პეტერბურგიდან
ამურის წითელი ხიზილალა (კეტოვი), სიგი, დვინის ორაგული, გრუზდი, ბრუსნიკა და სხვ.
აგრეთვე იყიდება მაილოვის
ხიზილალა
კოლოფით და ხმელი სოკო. 150

თევზის მრეწველნი
ძმ.
მეგველოვები.
პუშკინის ქუჩა, საკუთ. სახ. № 9.
ტელეფონი № 712.

გამოსულია და იყიდება
ი. გედევანიშვილის პიესა
„გ ა მ ც ე მ ი“
დრამა 3 მოქმედ. ფასი 25 კ.

ОБЩЕСТВО ГРАММОФОНЪ СЪ ОГР. ОТВ.
ВЪ ЛОНДОНѢ.
ლონდონში
რადგან ჩვენი ფირმის სახელით გამოდის აუარებელი ყალბი ნაწარმოები, ვსთხოვთ პატივცემულ საზოგადოებას და ვაჭრებს,
ყურადღება მიაქციონ,
რომ ჩვენი ფაბრიკის ყველა ნაწარმოებს საქვეყნოდ ცნობილი სავაჭრო ნიშანი აქვს:
„მწერავი TRADE MARK ამური“
და გარდა ნარდათ და ცალ ცალკე მოვაჭრე მაღაზიისა, რომელიც ტფილისში, გოლოვინის პროსპექტზე, № 9, სამხედრო ტაძრის პირდაპირ იმყოფება,
საზოგადოებას
სხვა განყოფილება
ტფილისში არ მოეპოვება. 1508

გამოსულია და იყიდება
ნ. შიუკაშვილის
პიესა „მეგობრობა“, დრამა 4 მოქმედ. ფასი 30 კაპ.

დაიწყო ბეჭდვა და მიიღება ხელის მოწერა შოთა რუსთველის
„ვეფხის ტყაოსანზე“

ეს წიგნი იქნება მე-21-ე გამოცემა იუსტინე აბულაძის რედაქტორობით. წიგნს, წინასიტყვაობის სახით, თავში დაერთვის ვრცელი გამოკვლევა და ბოლოში ვრცელივე ლექსიკონი. ტექსტი შემოწმებული იქნება საუკეთესო ხელნაწერებზე და დართული ექნება საჭირო ვარიანტებიც. რედაქცია ეცდება წიგნმა დააკმაყოფილოს, როგორც მეცნიერული ინტერესი, ისე პრაქტიკული საჭიროებაც და მიაწოდოს საზოგადოებასა და სკოლებს საუკეთესო სახელმძღვანელო, ჩვენის სათაყვანებელი მგოსნის შესასწავლად.

წიგნი იბეჭდება ორ-ნაირად: 1) ჩვეულებრივ ქაღალდზე უყდოდ და ეღირება 1 მან. და 2) ძვირფასს ქაღალდზე ძვირფასი ყდით—2 მანეთად.

ვინც კეთილ ინებებს და 10 კვიტანციას გაგვიყიდის, იმას ერთი წიგნი, კარგს ქაღალდზე, ძვირფასი ყდით, საჩუქრად მიერთმევა.

იმ დაწესებულებათა და კერძო პირთაც, ვინც მოისურვებს კომისიონერობას, და 10-ზე მეტს გაგვისაღებს, მას მიეცემა მანეთზე 15 კაპ.

ხელის მოწერა გაგრძელდება 25 ოქტომბრამდი, წიგნები დაურიგდება აგენტებს ხელის მომწერლებისათვის დასარიგებლად 1 იანვრისთვის.

ამასთანავე საჭიროდ ვრაცხთ გამოვაცხადოთ, რომ წიგნი იბეჭდება განსაზღვრული რიცხვით და თუ გადარჩა ხელის მოწერის შემდეგ თავისუფალ ეგზემპლიართა რიცხვი, იმ შემთხვევაში მანეთიანს მიემატება **ათი შაური** და ორ მანეთიანს **ერთი მანეთი**.

მისამართი: Тифлисъ—Авлабаръ, Кабегановская № 29. Ю. Абуладзе 149.

ქ-ნი პორტუგალოვისა
აცხადებს, რომ
საფაბრიკო მაღაზიაში, რომელიც ნიკოლოზის ხიდთან № 23—24 არის,
ზამთრის სეზონის მოახლოვებისა გამო დანიშნულია
დ ი დ ი ვ ა ჭ რ ო ბ ა
მამაკაცთა, ქალებისა და ბავშვების ტანისამოსისა.
30 პროც. დააკლდება ფაბრიკის ფასს.
ვიმედოვნებ, ვინც ჩვენს მაღაზიაში იყიდის, კმაყოფილი დარჩება. ამასთანავე მოგახსენებთ, რომ მაღაზიას ყოველ კვირა მოსდის ახალ-ახალი საქონელი, რომელიც ძვირად არ იყიდება.
პატივისცემით ქ-ნი პორტუგალოვისა.
1491

ოქროს მედალი ოქროს მედალი
Золотая медаль Золотая медаль
Похвальный отзывъ на всероссійскую выставку въ Н. Новгородѣ въ 1896 г.
GRAND-PRIX
შ პ ა ლ ი ე რ ი
მოსკოვის საქარხნო საწყობისა
ვლადიმერ ალპატოვისა
ო. მ. ყუნანიანცის გამგეობით გოლოვინის პროსპ. № 23, სახ. არამიანცისა ტელ. № 14—29. ფასები საქარხნო 8 კ. და უფრო ძვირიც. ალბომები პირველ მოთხოვნისთანავე გამოიგზავნება უფასოდ. 1393

ტფილისი, მუხრანის ქუჩა, სტამბა „შრომა“.